საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 აპრილი, 2014 წელი.

№71 (7452)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„ოცდასამი წლის შემდეგ“ ⑥-⑦

② სად დაგვეკარგა 9 აპრილის „ერთსულობა და ერთხორცობა?.“.

აქა ამბავი ჰაქიმ ფაშას და ბოცო წიკლაურისა ③

ხელისუფლებამ პარლამენტის დეპუტატების სისხლის სამართლებრივი დევნის ნება დართო ⑧

ქართველი იუნკერი, რომელიც პოლონეთის თავისუფლებისთვის იბრძოდა ④

ბზის ტყეები ნადგურდება! ④

სამხედრო ძალთა ბალანსი – მშვიდობის გარანტი ⑤

ცალკეულ ჯგუფებს ჰქონდათ მცდელობა, ბიძინა ივანიშვილი დედაქალაქზე აგრესიის ② განხორციელებლად წარმოეჩინათ

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პატრიარქმა მცხეთას წმინდა ქალაქის ტიტული მიანიჭა

როგორც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, მიღებულია განჩინება, რომლის მიხედვით, აღდგება მცხეთის სრული ტიტული და მას წმინდა ქალაქი, წმინდა დედაქალაქი მცხეთა ეწოდება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად მელქისედეკ პირველი კათალიკოს-პატრიარქის ანდერძი უდევს, რომელიც მე-11 საუკუნეში დაიწერა.

პატრიარქმა ქადაგებისას მრევლს ანდერძი გააცნო, რომლის თანახმად, მელქისედეკ I კათალიკოსი ასახელებს სოფლებს, აგარაკებს, რომელიც მან ეკლესიას შესწირა და ამბობს, რომ ვინც მის შემდგომ იქნება, ანდერძი აღასრულოს. ანდერძში მელქისედეკ კათალიკოსი მცხეთას წმინდა ქალაქად მოიხსენიებს.

ილია II-მ უფალს შესთხოვა, ნათელში ამყოფოს მელქისედეკ კათალიკოსის სული და მისი ლოცვა-კურთხევა საქართველოს შეეწიოს. ამასთან, როგორც მან ბრძანა, მცხეთას მიენიჭება უძველესი სახელწოდება და აღდგება მისი სრული ტიტული, რაზეც მიღებულია სათანადო განჩინება.



ამასთან, ხარების დღესასწაული წმინდა ქალაქ მცხეთაში, სვეტიცხოველში აღინიშნება. პატრიარქის თქმით, ანდერძში წერია, რომ ხარების დღესასწაული მცხეთაში უნდა აღინიშნებოდეს.

— იყო ასეთი წესი, რომ ამ დღეს მთელ მცხეთას სამღვდელოება და ხალხი ნაკურთხ წყალს ასხურებდა. ამიტომ გაძლევთ ლოცვა-კურთხევას, რომ ასხუროთ სახლებს, ქუჩებს, შვილებს, ყველაფერს, რაც თქვენს გარშემოა ნაკურთხი წყალი. როგორც მცხეთაში, ასევე თბილისში, — ბრძანა პატრიარქმა.

* * *

მცხეთის წმინდა ქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებით, მცხეთის ქუჩები ეკურთხება, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სვეტიცხოველში ქადაგებისას განაცხადა.

სვეტიცხოველში ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ, პატრიარქმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და ხარების დღესასწაული მიულოცა. პატრიარქმა ხარების დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა და წმინდა სახარებიდან ადგილი გაიხსენა, როდესაც მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი გახდებოდა მაცხოვრის დედა.

„ძველ დროში იყო ასეთი ებრაული მისალმება „გიხაროდენ„, ეს სიტყვა გამოიყენა მთავარანგელოზმა გაბრიელმა და მიმართა ღვთიმსშობელს „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა„. მთავარანგელოზმა ახარა ღვთისმშობელს, რომ მისგან იშვებოდა უფალი იესო ქრისტე“, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

პატრიარქმა სვეტიცხოველში ხარების დღესასწაულზე ქადაგებისას ყველას მიმართა, განსაკუთრებით ჟურნალისტებს, რომ იყვნენ კარგი ამბის მახარობლები და ნუ ასახავენ მხოლოდ და მხოლოდ ნეგატივს.

— დღეს მინდა, შეგახსენოთ, ყოველი მორწმუნე მოვალეა, იყოს მახარობელი, სიხარულის მომტანი. ზოგს სიამოვნებს, რომ სხვას რაღაცა ცუდს ეუბნება. მე არაერთხელ მითქვამს ჩვენი ჟურნალისტებისთვის, რატომ წერენ ამდენ ცუდს, ამდენ ნეგატივს, ვიღაცამ ვიღაცა მოკლა და ა.შ. და ამაზე ასეთი პასუხი მივიღე, ხალხს ეს უფრო აინტერესებსო. ხალხს ეს არ აინტარესებს, ხალხი დაიღალა ამ ყოველივეთი. მინდა, გთხოვოთ, როგორც ჩვენს სულიერ შვილებს, სიკეთეზე წერეთ, ბევრი რამ არის კარგი და ეს უნდა დავინახოთ ჩვენ, —- აღნიშნა პატრიარქმა.

— მივმართავ პრესას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ არ უნდა წეროთ ნეგატიურიც. მაგრამ ამასთან დადებითზეც უნდა წეროთ, სიხარული უნდა მოუტანოთ ხალხს. გეძლევათ, ლოცვა-კურთხევა ყველას, პირველ რიგში ჩემს თავს ვეუბნები, ყველა მახარობელი უნდა ვიყოთ და სიხარულით უნდა აივსოს ადამიანი, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

◎ ღმერთმა ინებოს

სად დაგვეკარგა 9 აპრილის „ერთსულობა და ერთხორცობა?..“

ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში“ ერის ცნების ერთ მეტად ლაკონიურ, მაგრამ უაღრესად აზრტევად განსაზღვრებას გვაძლევს: „ერი... ეს არის ისტორიით შედუღაბებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“. ამ 25 წლის წინათ ყველამ თავისი თვალით ვნახეთ დიდ-პატარის, — ქალის თუ კაცის, ერის თუ ბერის ეს „კრებული“. ყველანი მაშინ ილიასეულ „საერთო ნიადაგზე“ დავდექით. ეს არის 9 აპრილის მთავარი არსი ჩვენთვის...

მას შემდეგ ეს „საერთო ნიადაგი“ უკვალოდ გაქრა და აქაც ყველამ თავისი თვალით ვნახეთ მის ნაცვლად, „განხეთქილება და განცალკევება, შური და ბოღმა ქართველთა“. და ახლაც ვინ იცის მერამდენედ, აღვასრულეთ დიდი ერთგულებით შაჰ-აბასისეული ძველი წყევლაც — „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ “...

ესეც ღმერთმა იცოდეს, როდის მოვა ეს „ერთსულობა და ერთხორცობა“ კვლავ... კაცი იმედით ცხოვრობს და იმედია, რომ მოვა, აუცილებლად მოვა. მის მოლოდინში კი, ტკბილმოსაგონარ დღეებად რჩება ამ 25 წლის წინანდელი გაზაფხულის დღეები, დღეები, რომელთაც მაშინ ასეთი სტროფი მივუძღვენი:

ცათა შინა
მტერთა რისხვად გაისმის,
ცხრა აპრილის სისხლიანი აისი...
ყივის სისხლი დიდგორის და კრწანისის,
ზეობს სული ოცდაექვსი მაისის...
საქართველომ თავი იცნო თავისი,
ცხრა აპრილის სისხლიანი აისით...

ღმერთმა ინებოს, რომ ეს „თავის ცნობა“, — ჩვენი მაშინდელი „ერთსულობა და ერთხორცობა“, მალე დამდგარიყოს კვლავაც...

ელგერდ ბატიაშვილი

◎ ინფორმაცია

გუშინ თბილისის იუსტიციის სახლმა მუშაობა განაახლა

როგორც იუსტიციის სახლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, მომხმარებელს 300-ზე მეტი სერვისის მიღების შესაძლებლობა ტრადიციულად თბილისის იუსტიციის სახლში ექნება. ამასთან, მუშაობა შეწყვიტა სამმა დროებითმა ფილიალმა, რომლებიც იუსტიციის სახლში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო იყო გახსნილი.

— იუსტიციის სახლში სარემონტო სამუშაოები სახურავის დაზიანების შემდეგ გახდა საჭირო. შეკეთდა და გამაგრდა სახურავის კონსტრუქციის როგორც გარე, ისე შიდა მონაკვეთი. განხორციელდა სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დადუღდა ასეულობით გაუმაგრებელი წერტილი. ექსპერტების შეფასებით, იუსტიციის სახლის სახურავი სარემონტო სამუშაოების შემდეგ სრულებით უსაფრთხოა, - აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

თბილისის იუსტიციის სახლი ტრადიციულად ყოველდღე, 09:00-დან 18:00 საათამდე იმუშავებს.

ინტერპრესი

◎ „საქართველოს თანაინვესტორების ფონდი“

ცალკეულ ჯგუფებს ჰქონდათ მცდელობა, ბიძინა ივანიშვილი დედაქალაქზე აგრესიის განმხორციელებლად წარმოეჩინათ

„საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ განცხადებით, პროექტ „პანორამა თბილისის“ კონცეფციის პრეზენტაციის შემდეგ, საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს ჰქონდათ მცდელობა, პროექტის მთავარი ინვესტორი, ბიძინა ივანიშვილი წარმოეჩინათ პიროვნებად, რომელიც დედაქალაქზე მორიგ აგრესიას ახორციელებს.

როგორც „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ზოგიერთ ტელეარხზე პროექტთან დაკავშირებით გაკეთდა ტენდენციური და ზედაპირული შეფასებები, რაც მიზნად ისახავდა მცდარი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

„ასევე აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მერიამ ორჯერ გადადო განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დავალების გაცემის საკითხის განხილვა პროფესიულ საბჭოზე.

სანაცვლოდ მიიღო გადაწყვეტილება გრგ-ის საჯარო განხილვის ორგანიზების თაობაზე, რაც წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე უპრეცედენტოა.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა და საზოგადოების მეტად ინფორმირების სურვილმა განაპირობა ჩვენი გადაწყვეტილება ზოგიერთი განმარტების გაკეთებასთან დაკავშირებით.

პროექტის კონცეფცია: პროექტი „პანორამა თბილისი“ უპრეცედენტოა იმით, რომ ის ქმნის 4 მრავალფუნქციური კომპლექსის (1. სოლოლაკის მაღლობი, 2. სოლოლაკის ბაღები, 3. თავისუფლების მოედანი და 4. ერეკლე II-ს მოედანი) ერთობლიობას და აკავშირებს მათ საბაგირო გზებით და დახრილი ლიფტებით, რაც დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდშიც კი უზრუნველყოფს კომპლექსებს შორის ავტოტრანსპორტის გარეშე, სწრაფად და მოხერხებულად, გარეთ გაუსვლელად გადაადგილებას. საბაგირო გზებით დაკავშირების პრაქტიკა მიღებულია მსოფლიოს მრავალ ცნობილ ქალაქში (ბარსელონა, ლისაბონი, ლონდონი, რიო-დე-ჟანეირო და სხვა), თუმცა, კომპლექსების ამგვარი ურთიერთკავშირი პროექტს მსოფლიოში განუმეორებელს ხდის.

აღსანიშნავია, რომ მრავალფუნქციური კომპლექსების საშუალებით თბილისში შესაძლებელი გახდება მას შტაბური საერთაშორისო კონფერენციებისა და ფორუმების ორგანიზება, რაც ჩვენს დედაქალაქს რეგიონში დამატებით დატვირთვას შესძენს. ასევე მას განსაკუთრებული ხიბლი ექნება ტურიზმის განვითარების კუთხით.

კომპლექსების „სოლოლაკის მაღლობისა“ და „სოლოლაკის ბაღების“ ფარგლებში დაირგვება 30,000 (2-დან 5 მეტრამდე სიმაღლის) ახალი ხე და გაშენდება ვერტიკალური ბაღები, რაც საგრძნობლად გააჯანსაღებს ქალაქის ეკოსისტემას.

სამაგალითოა, რომ პროექტის ფარგლებში ქალაქის ცენტრსა და შემოგარენში დამატებით მოეწყობა 1,800 ავტომობილზე (თავისუფლების მოედანი — 300; ერეკლე II-ს მოედანი — 500; სოლოლაკის ბაღები — 500; სოლოლაკის მაღლობი — 500) გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომები, რაც პროექტის საჭიროებას ბევრად აღემატება და უზრუნველყოფს ქალაქში არსებული პარკირების პრობლემის მოგვარებას.

პროექტის განხორციელების პროცესში დასაქმდება 2000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, ოთხივე კომპლექსი შექმნის 1000-ზე მეტ მუდმივ სამუშაო ადგილს.

სამომავლო გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ პროექტ „პანორამა თბილისის“ მიმდინარე სტატუსს. დღევანდელი მდგომარეობით მხოლოდ მისი ერთი ნაწილის „სოლოლაკის ბაღების“ შემთხვევაშია წარმოდგენილი არქიტექტურული ხედვა, ხოლო დანარჩენ სამ კომპლექსთან დაკავშირებით მიმდინარეობს არქიტექტურული ნამუშევრების შერჩევის პროცესი, რომლებიც ასევე განსახილველად წარედგინება ქალაქის მერიას და საზოგადოებას.

პროექტის ეკონომიკური მხარე: ბიძინა ივანიშვილს მრავალჯერ განუცხადებია, რომ მას საქართველოში ბიზნესი არასდროს არ უკეთებია და მისი ერთადერთი კომერციული ორგანიზაცია სს „ბანკი ქართუ„ გახლდათ, რომელიც მან თავის დროზე საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით დააარსა. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო ბანკმა ვერ შეძლო დასახული მიზნის განხორციელება. თუმცა, მას არასდროს უწარმოებია აგრესიული საბანკო პოლიტიკა. უფრო მეტიც, ეს ის ბანკია, რომელმაც 2001 წელს, სავალალო ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი „აბსოლუტ ბანკი“ შეიძინა მისი ვალდებულებების დასაფარად და საქართველოს ახალგაზრდა საბანკო სისტემის მდგრადობის შესანარჩუნებლად.

„საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ ჩამოყალიბებამ, რომლის გაცხადებული კაპიტალი 6 მილიარდი ამერიკული დოლარია და რომელსაც დღევანდელი მდგომარეობით 1.3 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების 11 პროექტი აქვს დამტკიცებული, სს „ბანკი ქართუს“ ჩართვას ინვესტიციების მიმართულებით აქტუალობა დაუკარგა.

„საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ ჩამოყალიბება და მასში ბატონი ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობა ერთ-ერთი მთავარი ინვესტორის სახით განპირობებულია ქვეყანაში ინვესტიციების გაზრდის მიზნით და არა პირადი კომერციული ინტერესით. ამის დასტურად კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ ბიზნესმენს, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, უპრეცედენტო პირობებით (მათ შორის ყველაზე რისკიანი ფაზის გავლის შემდეგაც კი) თვითღირებულებით, ყოველგვარი მოგების გარეშე დაუთმოს მისი კუთვნილი წილი.

ერთ-ერთი კითხვა, რომელიც გარკვეული მედიის მიერ აქტიურად გამოითქმოდა, ეხება პროექტში „პანორამა თბილისი“ განსახორციელებელი ინვესტიციების წარმომავლობას და აღნიშნულ პროექტში ინვესტირების მიზანშეწონილობას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თანაინვესტირების ფონდი განაგებს მხოლოდ მისი ინვესტორების კერძო თანხებს და მას არ გააჩნია არავითარი კავშირი სახელმწიფო სახსრებთან. გაცნობებთ, რომ ფონდის და შესაბამისად პროექტ „პანორამა თბილისის“ ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი გახლავთ ბიძინა ივანიშვილი, რაც თავისთავად აქარწყლებს ბოლო დროს გავრცელებულ სპეკულაციებს იმის შესახებ, რომ იგი ცდილობს მის საკუთრებაში არსებული მიწების ე.წ. „გასაღებას“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში. ვადასტურებთ, რომ პროექტის განხორციელებისთვის განსაზღვრული ტერიტორია ნაწილობრივ მოიცავს ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწებს, რომლებიც მისივე სურვილით თვითღირებულებით გადაეცემა ფონდს, ყოველგვარი ზედმეტი სარგებლის მიღების გარეშე, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

აქა ამბავი ჰაქიმ ფაშას და ბოცო წიკლაურისა

ნება მიბოძეთ, ტრადიცია დავარღვიო და გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვა ოდნავ უფრო შორიდან, 31 მარტიდან დავიწყო. ამ დღეს, სიცოცხლეშივე ქართული ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებული მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც მამამ თავისი ერთ-ერთი ლიტერატურული გმირის საპატივცემოდ ზვიადი დაარქვა.

ფარისეველთა შეთქმულება

კლასიკოსის ვაჟს განგებამ რთული და ტრაგიკული ცხოვრების გზა დაანათლა – კონსტანტინე გამსახურდიას შვილობა, დისიდენტური მოღვაწეობა, დევნა-შევიწროება, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტობის პატივი, ისევ დევნილობა და ტრაგიკული აღსასრული.

2014 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პატივი მიაგო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხსოვნას და მის საფლავზე პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც. ზვიად გამსახურდიას ვაჟებმა კონსტანტინემ, ცოტნემ და გიორგიმ ხელისუფლებას 1993 წლის 31 დეკემბრის ღამეს მამის დღემდე საიდუმლოებით მოცული დაღუპვის სრულფასოვანი გამოძიებისკენ მოუწოდეს.

ამავე დღეს ფაზისის აკადემიაში შეიკრიბნენ მისი ნამდვილი წევრები და პირველი პრეზიდენტის ნიჭისა და დამსახურების პატივისმცემელი საპატიო სტუმრები (იგორ კვესელავა, რეზო მიშველაძე, ნოდარ ჭითანავა, ბაკურ გულუა, სოსო სიგუა, ვაჟა ეგრისელი...). ისინი მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას განცხადებას ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხვის შუამდგომლობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდისადმი მიმართვის თაობაზე.

ვინაიდან ზვიად გამსახურდია დაკრძალულია მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ამით ხაზგასმულია მისი დამსახურება ერისა და სამშობლოს წინაშე.

თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ, რომ მეფე დავით მეოთხე აღმაშენებლის წმინდანად შესარაცხად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რვაასი წელი დასჭირდა. ამით, დიდი დავით მეფის სახელს არაფერი დაკლებია. მაპატიეთ, მაგრამ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ისტორიიდან წმინდანად შერაცხული პრეზიდენტების სახელები არ მახსენდება.

მოდი, დავინდოთ ზვიად გამსახურდია, ნუ გავხდით თანამედროვეებისა და შთამომავლობის საქილიკოდ. მომავალი თვითონ დაარქმევს სახელს მის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ისევე, როგორც დაარქვა თავისი სახელი ცხოვრებას დავით აღმაშენებლისა, დემეტრე თავდადებულისა, გიორგი ბრწყინვალისა, ქეთევან დედოფლისა, მღვდელი თევდორესი...

მსოფლიო შოკშია!

გასული კვირის ორშაბათს, დილაადრიან გავრცელდა თავზარდამცემი, შემაძრწუნებელი, აღმაშფოთებელი, გულისმომკვლელი, ელდისმომგვრელი, მეხდამტეხი, გულგამხეთქი, გამახევებელი, მოკლედ, – შოკისმომგვრელი – ინფორმაცია, რომელმაც საქართველოს მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას ირონიული ღიმილი მოჰგვარა – დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ თანამედროვე ქართული ნაცური პოლიტიკის კაშკაშა ვარსკვლავს ბოცო (კლიჩკა „ნუგზარი“) წიკლაურს!

ოდნავ მოგვიანებით დეტალებიც გახმაურდა - რვა ნიღბიანი, ელექტროშოკებით, „დუბინკებით“ და ხის კეტებით შეიარაღებული კარგად გაწვრთნილი კუნთმაგარი ქოცზონდერი ბიძინა ივანიშვილის დავალებით, დილის სამიდან ოთხ საათამდე პერიოდში თავს დაესხა საჯარო ბიბლიოთეკიდან მომავალ დაქანცულ პარლამენტარს და მისი გათიშვა, მანქანაში შეთრევა და გატაცება სცადა. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ბოცო მედგრად დაუხვდა, თავი არ დააშოკებინა, მანქანაში არ შეათრევინა და, საბოლოოდ, როცა საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულიდან უცნობმა პატრიოტმა თავდამსხმელებს მსხვილი კარტოფილების ჯერი დაუშინა, ბოცომ მომხდურებს კუდით ქვა ასროლინა.

წიკლაურმა მთელი გასული კვირის განმავლობაში იკეკლუცა თავისი ჩალურჯებული მარჯვენა თვალითა და გაკაწრული ცხვირით (თავდამსხმელებმა მისთვის უფრო შთამბეჭდავი დაზიანების მიყენება ვერ მოახერხეს და რა მისი ბრალია!), მაგრამ თანამემამულეებს გული ვერ აუჩუყა. მეტიც, ნაცმოძრაობის კორიფეების განცხადებები, რომ „დეპუტატ წიკლაურის საქმე შეიწირავდა ქოცების ხელისუფლებას“, ერთობ კარიკატურულად გამოიყურებოდა. საქმეს ვერ უშველა გასულ კვირაშივე აგორებულმა მეორე შოკისმომგვრელმა ინფორმაციამ გენერალ თათუხაშვილის ვაჟის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე განსვენებულმა პროკურატურას ჩვენება მისცა დათა ახალაიას წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მოწმე თათუხაშვილის სიცოცხლითა და ჯანმრთელობით დაინტერესებული იყო (უნდა ყოფილიყო!) პროკურატურა და, საერთოდ, ხელისუფლება, რასაც ვერ ვიტყვით ნაცმოძრაობის ხელმძღვანელობასა და მასთან დაახლოებულ წრეებთან. ამის გარდა, წიკლაურის სინდრომმა ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენა დეპუტატ გელაშვილის, დეპუტატ დავითაშვილის დღემდე გამოუძიებელი გატაცებებისა და სასიკვდილოდ ცემის ფაქტები, შეკვეთილი მკვლელობები, 26 მაისისა და 7 ნოემბრის მასობრივი დარბევები და მრავალი სხვა, რაზეც ნაცმოძრაობის ლიდერებს არც მაშინ და არც მის შემდეგ პროტესტი რატომღაც არ გამოუხატავთ.

გასულ კვირაში სწორედ ეს გარემოება გახდა არცთუ კორექტული შეხლა-შემოხლის საბაბი პარლამენტში. რაც მთავარია, საპარლამენტო უმცირესობას კვლავინდებურად აინტერესებდა ვინაობა ვინმე ჰაქიმ ფაშასი, ვინც ცოტა ხნის წინათ სოციალური ქსელებით გაავრცელა გარდაცვლილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას ფოტოები. შეგახსენებთ, რომ ნაცმოძრაობის ლიდერებსა და იდეოლოგებს აინტერესებთ არა ფოტოების ნამდვილობის, არამედ მათი გამავრცელებლის ვინაობის დადგენა. ვინაიდან, ეს ჯერჯერობით ვერ მოხერხდა, ამ სახელით (ჰაქიმ ფაშა) მათ უკვე პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი მოიხსენიეს, რამაც უმცირესობის სარკასტული შენიშვნები და უმრავლესობის დრტვინვა გამოიწვია.

სწორედ ამან მაფიქრებინა, რომ ევროპისკენ მიმქროლავ ჩვენს საპარლამენტო უმრავლესობასაც და უმცირესობასაც თურქულ-არაბულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით მძიმე პრობლემები აქვს - გამოთქმა „ჰაქიმ ფაშა“ არც დაცინვის საგანი შეიძლება იყოს და არც დრტვინვა-აგრესიისა, რადგან თანამედროვე ქართულ ენაზე ეს „ბრძენ მმართველს“ ნიშნავს.

გასული კვირის „შოკისმომგვრელი“ ამბები ამით არ დასრულებულა. ჯერ იყო და, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროკურატურა დაკითხვაზე კობა ხაბაზს იბარებდა. უფრო ზუსტად, საინფორმაციო სააგენტოებმა იგი „ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად“ მოიხსენიეს (ეტყობა, ნაციონალური მოძრაობის საქმე ვერ არის მთლად კარგად). შუა კვირაში კი დაკითხვაზე თვით დიდი ლიდერი და მთავარი იდეოლოგი გიგა ბოკერია დაიბარეს! ბუნებრივია, იგი პროკურატურის კარებამდე მხარდამჭერებმა და ოჯახის წევრებმა მიაცილეს. მეუღლემ, ქალბატონმა თამარ ჩერგოლეიშვილმა კი გულისამაჩუყებელი დემონსტრაციული კოცნითაც დააჯილდოვა.

შოკისმომგვრელი-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ გასულ კვირას გავრცელებული ინფორმაცია ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკაში მიბრუნების შესახებ ცოტა უცნაური კია. დიახ, სწორედ იმ ოქრუაშვილზეა საუბარი, მიხეილ სააკაშვილის უპირველესი დასაყრდენი, მარჯვენა ხელი და მთავარი დამრტყმელი ძალა რომ იყო (გუბერნატორი, მთავარი პროკურორი, თავდაცვის მინისტრი, ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრი): ქართლის რეგიონში გახმაურებული „სპეცოპერაციების“ სულისჩამდგმელი და ადგილობრივი მასშტაბის მეძავების რისხვა; რუსებისთვის ფეკალური მასების მიწოდების ინიციატორი; „რთველის მინისტრი“ და კახელი გლეხების დამზაფრავი; საკუთარი „დანაშაულების“ საჯაროდ ამღიარებელ-მომნანიებელი; სააკაშვილის რეჟიმისაგან უცხოეთში თავშეფარებული და მერე მობრუნებული...

ამ ამბების გამგონე მიშას მეგობარი სენატორი მაკკეინი თურმე ისეთ შოკშია, ისეთ შოკშია, რომ დანა პირს არ უხსნის.

როგორს ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლებას ამ აქტით ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სურდა: დაეშინებინა და საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დაერწმუნებინა ოპონენტები და, რაც მთავარია, პუტინისთვის დაენახვებინა, რომ პატარა საქართველოს დიდ რუსეთში დიდი საქმეების კეთება შეუძლია.

კურდღლების ნაცვლად სააკაშვილის ხელისუფლებამ დიდი პითონი რომ დაიჭირა, უკვე ცხადზე უცხადესია. ახლა ამ პითონს სააკაშვილი და მისი „ჩემი გუნდი“ უკვე მარწუხებში ჰყავს და გადაყლაპვას სულაც არ ჩქარობს. დუმბაძის საქმეც მისთვის კიდევ ერთი გემრიელი ლუკმა იქნება.

გზად თეირანისაკენ

შოკისმომგვრელი (მშობლიურ დასავლეთთან ჩვენი მაინტეგრირებელ-მაიდენტიფიცირებელი ძირძველი ქართული ტერმინია) ამბებით დაზაფრულებმა გასულ კვირას ზოგიერთ არაშოკისმომგვრელ მოვლენას მაინცდამაინც დიდი ყურადღება ვერ მივაქციეთ. მაგალითად, ასეთს: აშშ-ის დაზვერვის დეპარტამენტის თავჯდომარემ მაიკ როჯერსმა განაცხადა, რომ ირანთან პირდაპირი გზის მოსაპოვებლად, შესაძლოა, რუსეთი საქართველოსა და სომხეთზე თავდასხმას გეგმავდესო. მისტერ როჯერსს ამის თქმის საფუძველს აძლევს რუსული სამხედრო ძალებისა და შეიარაღების თავმოყრა ცხინვალის რეგიონში. თანაც ისეთი ძალებისა და შეიარაღებისა, თავდაცვითი კი არა, შეტევითი ოპერაციებისას რომ გამოიყენებაო.

ღმერთმა დაიფაროს და, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, რაც რუსეთის ქმედებებიდან გამომდინარე, გამორიცხული სულაც არ არის, აშშ, დასავლეთ ევროპა და კენია კიდევ ერთხელ სერიოზულად შეშფოთდება, უკიდურესად აღშფოთდება კიდეც, მაგრამ ქუთაისის პარლამენტის შენობაზე რუსული დროშის აფრიალებას წინ არ აღუდგება - მათთვის იმპერიული რუსეთი დემოკრატიულ საქართველოზე ბევრად მნიშვნელოვანი ქვეყანაა.

ვფიქრობ, ეს პატარა ინფორმაცია საქართველოს მომავლისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უსაგნო კამათი ჩიორა თაქთაქიშვილსა და ეკა ბესელიას შორის, ჰაქიმ ფაშას ვინაობა და ხათუნა გოგორიშვილის წონაში დაკლების საიდუმლო.

გასულ კვირაშივე პარლამენტმა შესწორება შეიტანა კანონში დეპუტატის შესახებ. უფრო ზუსტად, აღადგინა ის პუნქტი, რომელიც გულისხმობდა დეპუტატზე სამართლებრივი დევნის დაწყებას პარლამენტის თანხმობის გარეშე. როგორც მოგეხსენებათ, ამ პუნქტს თავის დროზე ძალიან მარჯვედ იყენებდა ნაცმოძრაობის პარლამენტი, ხოლო მას შემდეგ, რაც დასაჭერი დაიჭირეს და გასაძევებელი გააძევეს, კანონიც შეცვალეს.

ალყა ვიწროვდება

გასულ კვირას ჩვენგან შორს, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში დამთავრდა სასამართლო პროცესი, რომელიც ალბათ თავის კვალს დაამჩნევს საქართველოში მიმდინარე პროცესებს: განაჩენი, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, გამოუტანეს გენერალ დუმბაძის მკვლელს, რომელმაც დაასახელა მკვლელობის შემკვეთი, ვინმე ჯიჭონია და მკვლელობის მომზადება-შესრულებაში აღებული თანხაც, 200 000 აშშ დოლარი. საინტერესოა, რომ ის ვინმე ბიზნესმენი ჟიჭონია არის უბრალო „ფოსტალიონი“, მკვლელებისთვის ფულის მიმწოდებელი და არავითარი პირადი ინტერესი გენერლის იმქვეყნად გასასტუმრებლად არ ჰქონია. გამოძიებამ დაადგინა, რომ მან მკვლელებს ფული დათა ახალაიას დავალებით გადასცა.

როგორც ჩანს, სააკაშვილის ხელისუფლებას ამ აქტით ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სურდა: დაეშინებინა და საკუთარ ყოვლისშემძლეობაში დაერწმუნებინა ოპონენტები და, რაც მთავარია, პუტინისთვის დაენახვებინა, რომ პატარა საქართველოს დიდ რუსეთში დიდი საქმეების კეთება შეუძლია.

კურდღლის დაჭერა ადვილია, ოღონდ ეს ერთ-ერთ ლიდერ-ოლიგარქ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილზე ეფექტურ ბერკეტად ვერ ჩაითვლება. ბიძინა ივანიშვილი ბოლო ორი-სამ კვირაა, ბევრ ადგილზე ამბობს, ოლიგარქ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილზე ეფექტურ ბერკეტად ვერ ჩაითვლებ, ეს ბერკეტი ბიძინა ივანიშვილია, ეს ბერკეტი ბიძინა ივანიშვილია, ეს ბერკეტი ბიძინა ივანიშვილია

◎ ღირსეული წინაპარი

ქართველი იუნკერი, რომელიც პოლონეთის თავისუფლებისთვის იბრძოდა

ვიტალი უგრეხელიძის ნეშტი ქართულ მიწას მიაბარეს

ის ლონდონში გარდაიცვალა 1983 წლის 8 იანვარს, 81 წლისა. და სამუდამოდ თან ჩაიტანა სურვილი სამშობლოში — საქართველოში დაბრუნებისა. ამ დიდებულ ადამიანს, ალბათ, ოცნებაშიც ვერ წარმოედგინა, რომ მის ნეშტს სწორედ 21-ე საუკუნის თავისუფალი საქართველო მიიბარებდა.

და, აი, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის ქვის კედელზე ამაყად ამოტვიფრულია წარწერა: „დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო სკოლის იუნკერი, პოლონეთის არმიის მაიორი, პოლონური ლიტერატურის მთარგმნელი **ვიტალი უგრეხელიძე** (1902-1983)“.

უცხო ცის ქვეშ დაბნელებული მზე თითქოს ხელახლა აკიაფდა, როცა ვიტალი უგრეხელიძის შვილებმა ლონდონიდან ჩამოასვენეს მისი ნეშტი, და დიდი პატივით დაკრძალეს საქართველოში, 2014 წლის 5 აპრილს, შაბათს, 14 საათზე...

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში თავი მოიყარეს ვიტალი უგრეხელიძის ნათესავებმა — პროფესორებმა მინდია უგრეხელიძემ და თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სევდია უგრეხელიძემ, რომელთა ბიძაც იყო ვიტალი უგრეხელიძე. აქ იმყოფებოდნენ სტუმრები პოლონეთიდან, პოლონეთის საელჩოდან, სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, თბილისის მერიის თანამშრომლები... ამ დღეს სპეციალურად ჩამოვიდნენ ახალგაზრდები ქუთაისიდან. პანაშვიდი გადაუხადეს გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ყოვლადუსამღვდელოესმა ანდრიამ, არქიმანდრიტმა ადამმა, ვარშავის წმინდა გრიგოლ ფერაძის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა ჰენრიკ პაპროცკიმ.

4-5 აპრილს თბილისში ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ცენტრმა ვიტალი უგრეხელიძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო გამართა.

ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიკოსმა **თადეოზ შონსემ** განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნა, რომ **„ახალგაზრდა იუნკერმა 25 წელი ღირსეულად ატარა პოლონელი ოფიცრის წოდება. თავისი სახელი აღბეჭდა პოლონეთის ჯარის ისტორიაში და საქართველოს შემდეგ თავდადებით ემსახურა პოლონეთს“.**

ვიტალი უგრეხელიძე, ეს რიონის ნაპირებზე ლაღად გაზრდილი ყმაწვილი, რომელსაც თავისუფლებისადმი ლტოლვა ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს ჩაესახა, 1921 წელს წითელ არმიასთან უთანასწორო ბრძოლაში დაიჭრა. თურქეთში გადაიხვეწა, ხოლო 1922 წელს სხვა ქართველ იუნკრებსა და ოფიცრებთან ერთად პოლონეთში ჩავიდა. იგი სამხედრო განათლებას მარშალ იუზეფ პილსუდსკის მთავრობის ხელშეწყობით დაეუფლა. 1939 წელს სექტემბრის საომარი კამპანიის დროს გამოჩენილი გმირობისთვის პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო „ვირტუტი მილიტარის“ კავალერი გახდა. ვარშავის ოკუპაციის დროს გერმანელების მიერ დევნილ ებრაელებს იცავდა. 1945 წელს გენერალ ანდრესის მეორე კორპუსს შეუერთდა იტალიაში. შემდეგ დიდ ბრიტანეთში გადავიდა საცხოვრებლად და იქ აღესრულა. ის აქტიურად მონაწილეობდა ქართული და პოლონური ემიგრაციის კულტურულ ცხოვრებაში. პოლონურიდან თარგმნა მიხეილ ბალუცკის, ალექსანდრე ფრედროს, იან პარადოვსკის და სხვათა ნაწარმოებები. თუმცა, განსაკუთრებული მოკრძალებით ეკიდებოდა ადამ მიცკევიჩის შემოქმედებას. არაჩვეულებრივად თარგმნა კლასიკოსის ეპიკური პოემა „პან თადეოზი“. ერთ-ერთი წიგნის წინათქმაში ვიტალი უგრეხელიძე ასეთ რამეს წერს: „ყოველთვის მინდოდა ჩემი მეორე, შეძენილი სამშობლოსთვის საკადრისი მისაგებელი მიმეზღო ყოველივე იმის გამო, რაც იქ გამოვცადე და განვიცადე. პოლონეთში ყოფნისას, ოდეს მე სხვა თანამებრძოლებთან ერთად ვიზიარებდი ემიგრანტის ხვედრს, გამოელვა აზრმა, ქართულად მეთარგმნა ადამ მიცკევიჩის დიდებული თხზულება — ეროვნული პოლონური ეპოსი „პან თადეუში“, ანუ „ბატონი თადეოზი“.

დაკრძალვის ცერემონიაზე დეკანოსმა **ჰენრიკ პაპროცკიმ** ასეთი სიტყვები წარმოთქვა: **„ეს ცერემონია, ერთი მხრივ, სევდიანია, მეორე მხრივ, იმედისმომცემი. ვიტალი უგრეხელიძის ოცნება სამშობლოში დაბრუნებისა, ახდა. როდესაც ვტირით საფლავზე, თან ვამბობთ „ალილუიას“ და ასე ვამარცხებთ ბოროტს. ბნელმა ძალებმა არ მისცეს მას საქართველოში ჩამოსვლის საშუალება. მაგრამ დღეს ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბნელი ძალა დამარცხდა. მადლობა ვიტალი უგრეხელიძეს, რომ ის იყო ახალგაზრდა ქართველი იუნკერი, რომელიც პოლონეთის თავისუფლებისთვის იბრძოდა“.**

იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი** ამბობს: **„ვუულოცავ უგრეხელიძეებს ამ დღეს, ვინაიდან შეძლეს თავიანთი წინაპრის ოცნების ასრულება. ბედნიერია ეს გვარი და სრულიად საქართველო. ქართულ მიწას მივაბარეთ სახელოვანი იუნკერი. მინდა, აგრეთვე, მივულოცო ჩვენი ქვეყნის დამცველ თითოეულ ჯარისკაცს. ეს მათთვის სამაგალითოა. ამიერიდან მათ ექნებათ ადგილი, სადაც მოვლენ, პირჯვარს გადაიწერენ და ამაყად იტყვიან, რომ მზად არიან ემსახურონ საქართველოს!“**

ნია ფიფია

◎ ფრთხილად!

ბზის ტყეები ნადგურდება!

ბზის მოჭრაზე მკაცრი კონტროლია, მაგრამ უნიკალური კოლხური ენდემური ჯიშის გადასარჩენად, უმჯობესია, ტყის მასივების დროული მკურნალობა დაიწყოს. ბოლო 9 წლის განმავლობაში სოკოვანი დაავადება ისეთი სისწრაფით გავრცელდა, რომ ასწლოვანი ხე-მცენარეებიც კი გაახმო. აჭარასა და სამეგრელოში უკვე უმძიმესი მდგომარეობაა.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო და საპატრიარქო მოქალაქეებს მოუწოდებენ თავი შეიკავონ ბზის ხეების უკანონო მოჭრისაგან. მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ და პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორე ჭუაძემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს, სადაც ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს. მათ მოსახლეობას მოუწოდეს, თავი შეიკავონ ბზის ხეების უკანონო მოჭრისაგან. მინისტრმა და მეუფემ იმედი გამოთქვეს, რომ მოსახლეობა მათ რჩევებს გაითვალისწინებს.

გარემოს დაცვის მინისტრის თქმით, კოლხური ბზა შეტანილია წითელ ნუსხაში და მათი უკანონოდ მოპოვება კანონით ისჯება. ბოლო წლებში ბზის გავრცელების არეალი მცირდება, რისი უმთავრესი მიზეზი სწორედ უკონტროლო ჭრაა.

„კოლხური ბზა ენდემური სახეობაა და მნიშვნელოვან მერქნულ რესურსს წარმოადგენს. იგი არის დასავლეთ საქართველოს ტყეების დომინანტი და უძვირფასესი მცენარე. კოლხური ბზა შეტანილია წითელ ნუსხაში და მათი უკანონოდ მოპოვება ისჯება. კანონმდებლობის მიხედვით, უკანონოდ მოჭრილი ბზის გამოვლენის შემთხვევაში პირი 200-დან 500 ლარამდე თანხით დაჯარიმდება, ხოლო, თუ ზიანი 1 000 ლარს გადააჭარბებს, პირის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. ბზა შესაძლებელია მოპოვებული იყოს მხოლოდ საკუთრებაში არსებული სანერგეებიდან და ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან“, — განაცხადა ხათუნა გოგალაძემ.

მეუფე თეოდორემ, მოსახლეობას ბზობის დღესასწაული წინასწარ მიულოცა და მიმართა, რომ უფლისადმი სიყვარულის გამოვლენა დიდი რაოდენობით ბზების შეძენაში არ გამოიხატება, დღესასწაულზე საკმარისია თუნდაც ერთი ტოტის შეძენა.

„ბზის ტოტებით მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის დღესასწაულს აღვნიშნავთ. ამდენად, ხშირად ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით უმოწყალოდ იჭრება და ნადგურდება უნიკალური კოლხური ბზა. უფლისადმი სიყვარულის გამოვლენა დიდი რაოდენობით ბზების შეძენაში არ გამოიხატება, დღესასწაულზე საკმარისია თუნდაც ერთი ტოტის ყიდვა. უმჯობესია, სპეციალურად ამ დღისათვის სანერგეებში გამოყვანილი ბზების შეძენა, რომელსაც აკურთხებენ ეკლესიაში და მთელი წელი მორწმუნეს შესაძლებლობა ექნება მოუაროს და მცენარე გაახაროს“, — განაცხადა მეუფე თეოდორემ.

ბზის ჭრაზე კონტროლი წლიდან წლამდე სულ უფრო მკაცრდება და ამის მიზეზი მხოლოდ ბზობის დღესასწაულზე მცენარეების დაზიანება არ არის. საქმე ისაა, რომ საქართველოს ტყეებში ბზის ნარგავების მოცულობა, სოკოვანი დაავადების გამო, კატასტროფულად იკლებს.

რამდენიმე წელიწადში ბზის უნიკალური სახეობა თითქმის მთლიანად განადგურდა. იგი „წითელ წიგნში“ ისედაც იყო შეტანილი, მაგრამ საქმე ისე მიდის, რომ დასაცავიც აღარაფერი დარჩება. ჯერჯერობით მისი მკურნალობა ვერ ხერხდება და იმის ნაცვლად, რომ სახელწიფომ ამ მიმართულებით გაამახვილოს ყურადღება, მოსახლეობას ყოველწლიურად უზრდის ჯარიმებს.

რა თქმა უნდა, უნიკალური მცენარის უკანონო მოპოვება უნდა აღიკვეთოს, მაგრამ ამით კოლხური ბზა ვერ გადარჩება, თუკი ტყის მასივებს დროული მკურნალობა არ ჩაუტარდა.

სოკოვანი დაავადების გამო, განადგურებულია ბზის კორომების 90 პროცენტამდე. სპეციალისტები აცხადებენ, რომ მდგომარეობა საგანგაშოა, აუცილებელია ჩარევა, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, ბზა გარკვეულ ტერიტორიებზე მაინც გადარჩეს. ბოლო 9 წელიწადში დაავადება ისეთი სისწრაფით გავრცელდა, რომ ასწლოვანი ხე-მცენარეებიც კი გაახმო. აჭარასა და სამეგრელოში უკვე უმძიმესი მდგომარეობაა.

„საუკეთესო პირობები აქვს თბილ და ნესტიან ადგილას, რომელიც ნაკლებად ნიავდება. ამ მხრივ საუკეთესო გავრცელების ადგილი აჭარასა და სამეგრელოში იპოვა, სადაც უნიკალური ბზის კორომებია. 5 საათის განმავლობაში სოკო იზრდება, 48 საათში კი უკვე ახალ გენერაციას იძლევა. ამ თვისებების გამო, რამდენიმე წელიწადში ბზის კორომების 90-95 პროცენტი სრულიად განადგურდა“, — ამბობს კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელი რეზო გეთიაშვილი.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-პატრონობის დეპარტამენტში ადასტურებენ, რომ ბზის კორომების დიდი ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია, მაგრამ 2014 წლიდან უკვე კონკრეტული ღონისძიებები იგეგმება.

კითხვაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა წლების განმავლობაში ამ დაავადების გავრცელების შეჩერება, სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი ამბობს, რომ ჯერჯერობით, მეცნიერებიც კი ვერ შეთანხმებულან, ბრძოლის რა მეთოდები იქნება სოკოვან დაავადებასთან ეფექტური. ამიტომაც კოლხური ბზის გადარჩენის პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდა.

ბექა დანელია

სამხედრო ძალთა ბალანსი – მშვიდობის გარანტი



ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ამბებმა შეგვახსენა სამყაროს სხვანაირი მოწყობა, ანუ „დიდს“ რომ დიდი ჰქვია და „პატარას“ – პატარა. „დიდს“ რომ სხვა „დიდთან“ არა მეგობრული, არამედ მტრული ურთიერთობა აქვს; რომ მსოფლიოში ორი, სამი, მით უმეტეს ოთხი „დიდის“ არსებობა, უფრო სწორად, თანაარსებობა შეუძლებელია; რომ „დიდთაგან“, რომელიმე შეეცდება, დანარჩენებზე მაღლა იდგეს. ის დანარჩენებიც შეეცდებიან „დიდის“ ტოლნი იყვნენ... ასე იყო და იქნება კაცობრიობა, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლე იქნება. და ასე რომ იქნება, არ უნდა გაგვიკვირდეს. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ რომელიმე „დიდი“, საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად, თავს დაიცავს.

უკრაინის მოვლენებმა გამოავლინა, რომ „დიდთა“ ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ერთმანეთის, ისე სხვათა მიმართ – რთულია და ნაკლებად იავარდფენილი, რაც კარგად უნდა მოეხსენებოდეთ სხვებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად „დიდთა“ მიერ გაბრიყვებულებს, ავიწყდებათ, რომ „დიდი“, რაც არ უნდა პარტნიორი იყოს, თუნდაც სტრატეგიული, გაჭირვების შემთხვევაში იარაღით არ მიუხდება სხვა „დიდს“.

„დიდთა“ შორის, ამ თვალსაზრისით, ერთგვარი დაუწერელი შეთანხმებაა და ამ შეთანხმების გარანტი შეიარაღებაა. შეიარაღების თვალსაზრისით, „დიდი“ ამერიკა, მეორე „დიდ“ რუსეთს, ჯერჯერობით ვერაფრით უსწრებს და თუ ასე გაგრძელდა, დედამიწის მოსახლეობის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. თანაფარდობა, მით უმეტეს ბირთვული, მუდამ მშვიდობის მომტანი იქნება. აი, თუ თანაფარდობა დაირღვევა, მსოფლიოს მშვიდობაც დაირღვევა, რაც კარგად უნდა იცოდეს ყველამ, მათ შორის „დიდებმაც“.

მსოფლიოს მშვიდობის ბალანსი ბირთვულ თანაფარდობაზე ჰკიდია, ანუ შეიარაღებული ძალების ბალანსზე. მართალია, აშშ-ის **პრეზიდენტმა ობამამ, ბრიუსელში გამოსვლის დროს, რუსეთი დააკნინა, მას რეგიონული ქვეყანა უწოდა,** მაგრამ ამით რუსული შეიარაღება არ დაკნინებულა. ობამაც ადამიანია, თავისი სისუსტეებით და გაბრაზებულს წამოსცდა რუსეთის რეგიონულობაზე, თორემ მანაც კარგად იცის, რომ ეს ასე არაა.

რეგიონულ სახელმწიფოსთან არ დებენ ბალისტიკური, კონტინენტთაშორისი, ბირთვული იარაღის შემცირების ხელშეკრულებას. რეგიონული ქვეყნის წყალქვეშა ნავები არ დაცურავენ სუპერსახელმწიფოს წყლებში, არც სტრატეგიული ავიაცია უწევს მონიტორინგს ამერიკის ტერიტორიას და არც თვეობითა და წლობით კოსმოსში გამოკიდებული რუსი კოსმონავტები დაჰყურებენ მთელს დედამიწას, მათ შორის აშშ-ს.

პრეზიდენტი შეცდა, რასაც უმალ მოჰყვა თეთრი სახლის განმარტება – რეგიონული კი თქვა, მაგრამ „მნიშვნელოვანი“ იგულისხმაო. თვით ობამამ, მეორე დღეს განაცხადა, რუსეთი საბჭოთა კავშირი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი ქვეყანაა.

ობამას ამასწინანდელი ტურნე ევროპასა და საუდის არაბეთში, ძირითადად, უკრაინის საკითხიდან გამომდინარე, რუსეთს მიეძღვნა, უფრო ზუსტად ევროპის ქვეყნებისა და საუდის არაბეთის ანტირუსულად განწყობას. მიაღწია თუ არა პრეზიდენტმა ობამამ შედეგს? ძნელი სათქმელია, ვინაიდან შედეგი ჯერ არ ჩანს –გარდა დასავლელთა ხისტი რიტორიკისა. **თუ მართლაც რაღაცას მიაღწია ობამამ – უახლოეს მომავალში გამოჩნდება. მაგრამ მანამდე რაც ჩანს ისაა, საკუთარ ქვეყანაში რეიტინგის დაცემა რომ ჰქვია. ამერიკელების 64% წინააღმდეგია ობამას საგარეო პოლიტიკის და უკრაინის გამო, რუსეთის გადაკიდების. მათი აზრით, ამერიკას არაფერი ესაქმება უკრაინაში.**

რეგიონული ქვეყნისთვის პრობლემების შესაქმნელად პრეზიდენტი მსოფლიოში დათხილი არ უნდა დარბოდეს. სირბილი, თავისთავად განსაზღვრავს რუსეთის „დიდობას“, რეგიონულობაზე აღმატებულობას. ეს, რომ ასე არ იყოს, პუტინის ობამასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, სახლისკენ მიმავალ სახელმწიფო მდივან ქერის, ირლანდიის აეროპორტ „შენონიდან“, თვითმფრინავს პარიზისკენ არ მიაბრუნებინებდა. რეგიონული ქვეყნისთვის სუპერ ქვეყანა თავს ასე არ გაირჯიდა.

მიბრუნებულ ქერისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს შორის, პარიზში, 4-საათიანი შეხვედრა გაიმართა. საუბრის შემდეგ ორივემ, თავ-თავიანთ საელჩოებში განცხადებები გააკეთეს, რომლის მიხედვით, პროგრესი ის იყო, რომ შეხვედრა შედგა. ორივე მხარემ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია უკრაინასთან მიმართებაში. **ლავროვმა თქვა ის, რაც ისედაც იცის ქერიმ, მაგრამ ამჯერად პირადად ლავროვისგან მოისმინა. ამ ნათქვამით ლავროვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთმა იცის, რაც უკრაინაში მოხდა და ხდება ამერიკელთა უშუალო მონაწილეობით არის გამოწვეული.**

ლავროვი პირველი არ არის, ვინც ეს გააჟღერა. სულ ახლახანს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის წარმომადგენელმა ჩურკინმაც იგივე თქვა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანს უთხრეს, რომ უკრაინაში შეიარაღებული ულტრამემარჯვენეები დათარეშობენ, რუსულ ენას ავიწროებენ, რუსი ეროვნების ადამიანებს აშინებენ, აშანტაჟებენ, პროფაშისტური ელემენტები გააქტიურდნენ, რაც საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს კრემლში და თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი იძულებული იქნება, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ითქვა მოლდოვასთან მიმართებაშიც, სადაც ამერიკელები იქადნებიან ისეთივე სცენარის გათამაშებას, რაც უკრაინაში გაითამაშეს.

ქერიმ თავის მხრივ შეშფოთება გამოთქვა რუსეთ-უკრაინის საზღვრებთან რუსეთის სამხედრო ძალის კონცენტრაციის თაობაზე. და ისიც თქვა, რომ ამერიკას არ შეუძლია, აიძულოს უკრაინის მთავრობა მთელი რიგი საკითხების მოგვარებაში. ქერის ნათქვამიდან გამომდინარე, ამერიკა ყურს ვერ აუწევს უკრაინას, რაც მართალია. ან როგორღა უნდა აუწიოს, როდესაც თავიდან ბოლომდე უკრაინული ამბები თვით ამერიკის მიერ არის დაფინანსებულ-განხორციელებული?

საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას ხელს უწყობს ამერიკა-რუსეთის ხელშეკრულება განიარაღების საკითხებში. ორ ქვეყანას შორის არაერთი ასეთი ხელშეკრულება იყო, მაგრამ ნდობის ხარისხის დაბალი დონის გამო, ხელშეკრულების პუნქტებს გვერდავლილი მხარეები სხვა მიმართულებით ავითარებდნენ შეიარაღებას. ყოველივე ამას უნდობლობა იწვევს.

ძნელია, დაუჯერო ქვეყანას, რომელიც ერთს გეფიცება და საწინააღმდეგოს აკეთებს. ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებების დროს მიიღეს ზეპირი შეთანხმება ნატოს აღმოსავლეთ ევროპაში არგაფართოების შესახებ. ამერიკელებმა არათუ დაარღვიეს ე.წ. ფიცი, არამედ ნატოს რიგებში შეიყვანეს ბალტიისპირა რესპუბლიკებიც, რომ აღარაფერი ვთქვათ, სოციალისტური ბანაკის ყოფილ სახელმწიფოებზე.

ისინი, არც ამას სჯერდებიან და ლამობენ ნატოს გაფართოებას დსთ-ს წევრი სახელმწიფოებით – უკრაინით, მოლდოვით, საქართველოთი. მართალია, ობამამ ბრძანა, უკრაინა-საქართველოს ნატოში შეყვანა არ იგეგმებაო, მაგრამ რას იტყვის ობამას შემდგომი პრეზიდენტი? ამერიკას არ უთქვამს, რომ აღნიშნული ქვეყნების ნატოში შეყვანას საბოლოოდ დაესვა წერტილიო. ამერიკელთა ამგვარ პოზიციას რუსეთი პოზიტიურად ვერ შეხვდება. ის იძულებულია გადადგას მკვეთრი ნაბიჯი, რაც გააკეთა კიდევაც ყირიმის შეერთებით.

არის თუ არა რუსეთი დამნაშავე, ანუ აგრესორი, როგორც მას აშშ და მისი მოკავშირეები მოიხსენიებენ?

საბჭოთა კავშირი ისეთ დათმობაზე წავიდა დასავლეთთან, რაც წარმოუდგენელი იყო. მან უარი თქვა საკუთარ თავზე, ანუ საბჭოთა კავშირზე და დაიშალა. მანამდე თანხმობა განაცხადა გერმანიის გაერთიანებაზე, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური სისტემისგან განთავისუფლებაზე, საკუთარ ქვეყანაში, შემცირებულსა და დაკნინებულში საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე და დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაზე. მან უთხრა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებულ რესპუბლიკებს – დამოუკიდებლები ხართო და გაუშვა ისინი თავისუფალ „ცურვაში“. ერთი, რაც მან სთხოვა ყოფილ საბჭოელებს – თავის შეეკავებინათ თავიანთ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის განთავსებისგან.

სამხედრო ბაზის განთავსებას მოსკოვი მტკივნეულად აღიქვამდა. შეასრულეს თუ არა კრემლის თხოვნა? არ შეასრულეს! და ამაში დიდი წვლილი ამერიკელებს მიუძღვით. სწორედ მათი დაჟინებული ჩხიკინით და ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების მოქრთამვა-გადაბირებით, ყველაფერი იღონეს შეთანხმების გასაბათილებლად.

ჯერ იყოდა მთელი დსთ-ს სივრცე კლინტონის გამოგონილ გეგმაში – „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ჩართეს; შემდეგ მთელი რიგი ეტაპები გადაალახვინეს ნატოში გაწევრების მიზნით; ამას ისიც დაუმატეს, ერაყ-ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა რომ ჰქვია; სისტემატური გახადეს ნატოს სტანდარტების შესაბამისად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჯარების წვრთნა და ა.შ.

გახშირდა ნატოში შესვლაზე ლაპარაკიც. არ მახსოვს არც ერთი ნატოელი მოხელე ან ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელსაც ისე კატეგორიულად ეთქვას, როგორც ობამამ თქვა – ნატოს გაფართოება არ იგეგმებაო. მუდამ იყო განცხადებები – ნატოს კარი ღიაა და ყველას მიიღებენ დავალებების შესრულებისთანავე. როგორ გგონიათ, რას იწვევდა ყოველივე ეს რუსეთში? უპირველესად, უნდობლობას, თავისებურ შიშს საზღვრებთან მოახლოებული ნატოს ჯარის სახით.

2008 წლის ქართული აგრესია და მასზე რუსული პასუხი – საქართველოში ნატოს მოსალოდნელი დაბანაკებითაც იყო გამოწვეული. დიახ! რუსეთს ეშინოდა და ეშინია ნატოს საკუთარ საზღვრებთან მიახლოება. არის ამაში რაიმე გასაკვირი?

არც არაფერი! ვინაიდან არც ერთი სუპერსახელმწიფო და არა სუპერიც ტაშით არ შეხვდება საკუთარ საზღვრებთან სხვის სამხედრო ბაზებს. აკი, ვერ აიტანა აშშ-მა საბჭოთა რაკეტები კუბაში? გახსოვთ ალბათ, რა გამოიწვია საბჭოთა ლიდერის ხრუშჩოვის ამ გადაწყვეტილებამ. ლამის ომი გაუჩაღა ამერიკამ საბჭოეთს. საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვებოდა რუსეთის სამხედრო ბაზის გახსნას კანადაში ამერიკელთა მხრიდან?

ასე, რომ ნუ გვიკვირს უკრაინასთან მიმართებაში კრემლის რეაქციის. იქ ხომ ამერიკელებმა ანტირუსულად ააბუნტეს მთელი უკრაინა! რუსეთის რეაქცია რომ არ ყოფილიყო, დაიკარგებოდა სევასტოპოლის რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზა. ულტრანაციონალური, მეტადრე ფაშისტური ხელისუფლება ცალმხრივად გაწყვეტდა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას და ბაზას ამერიკელებს გადასცემდა, რითაც რუსეთს ხელ-ფეხს მოუჭრიდა არა მარტო შავ ზღვაში, არამედ ხმელთაშუა ზღვაშიც.

175 ამერიკული სამხედრო ბაზაა ევროპაში და ყველა ისინი რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. ყირიმი 176-ე იქნებოდა. იმ რიგითი ამერიკელისა არ იყოს, გაკვირვებით რომ იკითხა, როგორ მოახერხა რუსეთმა ამერიკულ ბაზებთან დაარსებულიყოო.

რას ნიშნავს, რუსეთისთვის ამერიკული ან ნატოს ბაზებით შემორკალვა? რას ნიშნავს, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება? – ცოცხლად სიკვდილს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მსოფლიო მშვიდობა ძალთა ბალანსზე ჰკიდია. საკმარისია მისი ოდნავი დარღვევა და დაირღვევა მსოფლიო მშვიდობა. ევროპაში განთავსებული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები ანეიტრალებს რუსულ რაკეტებს, ანუ რუსეთიდან გაშვებულ რაკეტებს სპობს, რის შემდეგაც ახორციელებს რუსეთზე თავდასხმას. გასროლილი რუსული რაკეტა ვერ ანადგურებს მოწინააღმდეგის პოტენციალს, მოწინააღმდეგე კი, თავისი სარაკეტო პასუხით, აცამტვერებს რუსულ სამხედრო ობიექტებს.

სამხედრო ბაზებისა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების მთავარი მიზანი, ჩემს მიერ მარტივად გადმოცემული, აშშ-ის გეგმაშია. ამერიკულ სისტემებსა და ბაზებს რუსეთმა საკუთარი გეგმა უნდა დაუპირისპიროს, ანუ მილიარდობით დოლარი უნდა დახარჯოს საკუთარ საზღვრებზე ანტისარაკეტო სისტემების განლაგებაში; ისეთი რაკეტების შექმნაში, რომლებიც გადალახავენ ანტისარაკეტო ამერიკულ „ქოლგას“ და ძირში გაანადგურებენ მოწინააღმდეგის შეიარაღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი უომრადაც დამარცხდება. რა აზრი აქვს ფუჭ გასროლას?

ამერიკული სამხედრო პროექტი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დღემდე იხვეწება. და რომ არა რუსული პასუხი, ეს ქვეყანა დიდი ხანია, აღარ იქნებოდა. 1949 წელს, საბჭოთა კავშირის მიერ გამოცდილმა ატომურმა ბომბმა, წერტილი დაუსვა ამერიკულ სამხედრო გეგმას – ბირთვული იარაღით საბჭოეთის განადგურებას. დაუსვა, მაგრამ დროებით. პროექტი არსებობს. ის მუდმივად იხვეწება. წამიერი მოდუნება სიკვდილის ტოლფასი იქნება.

ახლა, რაც შეეხება ამერიკას აყოლილ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს - საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას. მათ ჰგონიათ, რომ აშშ მოახერხებს რუსეთის განეიტრალებას და საბოლოო ჯამში დაშლას. და თუ ის დაიშალა, აფხაზეთიც ჩვენია და სამხრეთ ოსეთიც და ვინ იცის, იქნებ რუსეთის ტერიტორიებიც როსტოვამდე. ამას არ ამბობდნენ სააკაშვილის „გონიერი“ სარდლები, ცხინვალის ომის დასაწყისში?

ნაცვლად ამ ვირტუალური ოცნებისა, უმჯობესი იქნებოდა რუსეთის პოლიტიკის სიღრმისეული შესწავლა, ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რაც წინ აღგვიდგებოდა ანტირუსული ისტერიის წარმოებაში. ანტირუსული ისტერია, მით უმეტეს ქმედება (ცხინვალის ომი) ძირს უთხრის საქართველო-რუსეთის პოზიციების დაახლოებას, ურომლისოდაც ზედმეტია დაკარგულის დაბრუნებაზე ფიქრი.

ზოგი თვლის, რომ რუსეთი უნდა შეგვეშვას, აღიაროს ჩვენი დამოუკიდებლობა, დაგვიბრუნოს წართმეული ტერიტორიები და ნება დაგვრთოს, ვიმოქმედოთ ისე, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას შეეფერება. რუსეთმა ნეგატიური რეაქცია არ უნდა გამოხატოს საქართველოს ნატოში შესვლაზე და ამერიკასთან მეგობრობაზე. აბსტრაქტული აზრებია, სრულიად შეუფერებელი თანამედროვე მსოფლიო წესრიგთან, ძალთა ბალანსთან.

რუსეთმა გააკეთა ის, რასაც ბევრი არ გააკეთებდა. მან, როგორც ჩვენ, ისე სხვა საბჭოელებს დამოუკიდებლობა მისცა. არ მითხრათ, 1991 წლის 30 მარტის რეფერენდუმით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობაო. ეს დოკუმენტიც და რეფერენდუმიც ისე გაქრებოდა უკიდეგანო სივრცეში, თვით საბჭოეთის პრეზიდენტ გორბაჩოვს რომ იმავე წლის დეკემბერში არ გამოეცხადებინა საბჭოთა კავშირის დაშლა.

ახალი რუსეთის ხელმძღვანელმა ელცინმა ერთი გვთხოვა – უცხოეთის სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე არ განლაგება. დანარჩენში მას არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუჩენია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვასრულებთ ამ თხოვნას.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ.

მარად მოუშუშებელი 9 აპრილი

2013 წლის ბოლოს გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის მემუარული ხასიათის წიგნი – „ოცდასამი წლის შემდეგ“, რომელსაც ვაჟა-ფშაველას მრავლისმთქმელი სტრიქონი აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული: „დაზიანებულ სიცოცხლეს მეტად ნუ დამიზიანებ“...

არადა, თამამად შეიძლება თქმა, ქვეყნის მაშინდელ ხელმძღვანელთაგან მართლაც ისე არავინ დაზიანებულა, როგორც ჯუმბერ პატიაშვილი.

„ისტორიკოსი არ გახლავართ, მაგრამ პროცესების უშუალო მონაწილე ვიყავი, – წერს ბატონი ჯუმბერი, – იმ პროცესებისა, რომელთაც მხოლოდ ნეგატიური მხარე არ ჰქონია, პოზიტივიც ახლდა. წლების გადასახედიდან ორივე კიდევ უფრო ნათლად ჩანს... რეალურ შედეგს კი, ნებისმიერ შემთხვევაში – პოზიტიური იქნება იგი თუ ნეგატიური – პასუხისმგებლობის გადანაწილება სჭირდება... გამარჯვებას გმირობის უამრავი მსურველი ჰყავს, მარცხზე პასუხისმგებლობას – არც ერთი“.

რასაკვირველია, ასე მოხდა 9 აპრილის შემთხვევაშიც. კაცს, რომელსაც ერის სამსჯავროზე გამოაქვს თავისი განვლილი გზა, როგორც თავადვე წერს, ზოგიერთებისგან განსხვავებით, თავის წილ პასუხისმგებლობას არც იცილებს და არც იმძიმებს.

იგი იმაშიც უთუოდ ბოლომდე მართალია, როდესაც ამბობს, რომ დასამალი და დასაფარავი არაფერი აქვს.

დანარჩენს მკითხველი თვითონ მიხვდება იმ რამდენიმე ნაწყვეტის მიხედვით, რომელთაც დღეს, ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი შავ-თეთრი თარიღის – 9 აპრილის 25 წლისთავზე, ვთავაზობთ ბატონი ჯუმბერ პატიაშვილის უაღრესად საყურადღებო აღსარება-წიგნიდან „ოცდასამი წლის შემდეგ“.

1989 წლის 3 აპრილს, ღამის ათ საათზე, ჩემთან მოვიდა ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ნიკო ჭავჭავაძე. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო, რომელიც ცენტრალურ კომიტეტში, ჩემს კაბინეტში შედგა.

ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს და მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისთვის მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა და საზოგადოების თვალში, ალბათ, დაპირისპირებულ ძალებსაც წარმოვადგენდით, შეხვედრამ ადამიანურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ხელის ჩამორთმევით მივესალმეთ ერთმანეთს, სამუშაო მაგიდას მივუსხედით და საუბარი პირდაპირ აფხაზეთის თემით დავიწყე.

როგორი განსხვავებული პოზიციები და ხედვებიც უნდა გვქონოდა, ერთი რამ ცხადი იყო – ჩვენ საერთო სამშოლო გვქონდა, რომლის მთლიანობასაც აფხაზური სეპარატიზმი უქმნიდა საფრთხეს.

– შეწყვიტეთ დემონსტრაციები და მიტინგები. მომეცით ორი კვირა. თუ ამ დროის განმავლობაში მე, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი, ვერ შევძლებ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, პირობას გაძლევთ, რომ თანამდებობიდან გადავდგები და როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე და რიგითი ქართველი, თქვენ გვერდით დავდგები!

ამ სიტყვებით დავიწყე და ამ სიტყვებით დავასრულე შეხვედრა, რომლის მიმდინარეობის დროსაც ასევე დეტალურად, სამივესთვის გასაგებ ენაზე ავხსენი, თუ რა მნიშვნელოვანი, რამდენად მომგებიანი იყო საქართველოსთვის ზამთრის ოლიმპიადის ბაკურიანში ჩატარება და დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად რამდენად არსებითი იყო, რომ საქართველოში სიმშვიდე და სტაბილურობა ყოფილიყო.

პირველი ზვიად გამსახურდია წამოდგა სკამიდან და თქვა:

– მართალია ეს კაცი, უნდა ვაცადოთ, მით უფრო, რომ არც ორი დღე და არც ორი კვირა არაფერს წყვეტს. თუ დათქმულ დროში არაფერი გამოვიდა, აქციების გამართვა სოხუმში ზაფხულშიც შეიძლება და გაცილებით მეტი ხალხის მობილიზაციასაც შევძლებთ, ვიდრე ეს დღესაა თბილისში შესაძლებელი...

დანარჩენებიც დაეთანხმნენ.

შეთანხმების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და როდესაც სტუმრები კარამდე მივაცილე, რა თქმა უნდა, აზრად არ მომსვლია, რომ ერთმანეთს უკანასკნელად ვხედავდით...

ამის შემდეგ გათენდა 4 აპრილი.

გრამოვი საქართველოში ჩამოვიდა და ბაკურიანში გავემგზავრეთ.

აღფრთოვანებული გრამოვი, რომელიც იმედს იძლეოდა, რომ ოლიმპიადის ბაკურიანში ჩატარებას დაუჭერდა მხარს, საღამოს ვახშმად დანგაძის ცნობილ ქოხში დავპატიჟეთ.

ამ დროს მიკავშირდებიან თბილისიდან და მეუბნებიან, რომ არაფორმალების ლიდერები მომიტინგეებთან და ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილთან ერთად, „დინამოს“ სტადიონზე გამართული ფეხბურთის მატჩის შემდეგ, დაიძრნენ და მთავრობის სახლთან აქციას ატარებენ.

ყურებს არ ვუჯერებდი. ჩვენი შეთანხმებიდან ორი კვირა კი არა, ოცდაოთხი საათიც არ იყო გასული.

სასწრაფოდ დავბრუნდი თბილისში და იმავე საღამოს ადლეიბას შემცვლელი კანდიდატის შერჩევას შევუდექი.

გადაწყდა, რომ ადლეიბას ვლადიმერ ხიშბა შეცვლიდა, რომელიც სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე იყო და რომლის დასაყოლიებლად პირადად მე რამდენიმესაათიანი მოლაპარაკება დამჭირდა.

სოხუმისთვის არაფერი შეგვიტყობინებია.

გათენდა თუ არა 6 აპრილის დილა, ექვს საათზე ვლადიმერ ხიშბა – საფოსტო რეისით, მე კი მომდევნო რეისით აფხაზეთში ჩავფრინდით.

აეროპორტში შს მინისტრი შოთა გორგოძე, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სესილი გოგიბერიძე და მეორე მდივანი ბარამიძე დამხვდნენ.

ჩავატარეთ ბიუროს სხდომა, დავსვით ადლეიბას თანამდებობიდან გადაყენების საკითხი და მის ადგილზე რეკომენდაცია ხიშბას გავუწიეთ.

არავინ მოელოდა ასეთ რადიკალურ ზომებს...

ბიუროს ყველა წევრი, მათ შორის თავად ადლეიბა, გაოგნებას ვერ ფარავდა. ბაგრატ შინკუბა, აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ერთგვარ იდეოლოგად ითვლებოდა აფხაზურ საზოგადოებაში და რომელიც ჯერ კიდევ 1947 წელს ითხოვდა კრემლისგან აფხაზეთის დამოუკიდებლობას, წამოდგა და განაცხადა:

– ჯუმბერ პატიაშვილი მართალია და დღეს ჩვენ მის სამართლიან გადაწყვეტილებას მხარი უნდა დავუჭიროთ!

თანამდებობიდან მხოლოდ ადლეიბა არ გაგვითავისუფლებია. მისი ბედი გაიზიარა ლიხნის შეკრებაში მონაწილე რამდენიმე პარტიულმა და პასუხისმგებელმა მუშაკმაც. ჩავატარეთ რამდენიმე ემოციური შეხვედრა, დავგმეთ სეპარატიზმი, ქართულ პოლიციას სიტუაციის სრული კონტროლი დავავალეთ და 7 აპრილს გამთენიისას მე, შოთა გორგოძე და სესილი გოგიბერიძე თბილისში გამოვფრინდით.

სოხუმიდან გამომგზავრებამდე თბილისს გადმოვეცით ინფორმაცია და ვთხოვეთ, მომიტინგეებისთვის ეცნობინებინათ, რომ აფხაზეთში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა, სეპარატისტები საკადრისად დაისაჯნენ და მთავრობის სახლის წინ გამართული აქციაც, მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაბამისად, უნდა დაეშალათ.

სამწუხაროდ, სანამ ჩვენ თბილისში დავბრუნდებოდით, ორგანიზატორებმა აქციის დაშლის ნაცვლად მოთხოვნა შეცვალეს და იმ დროისთვის ყოვლად აბსურდული და წარმოუდგენელი მოთხოვნა დააყენეს – საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან(!).

ცხადი იყო, რომ ამ ვითომდა სპონტანურ და უმართავ პროცესებს უხილავი მმართველი ჰყავდა და აქციები სულაც არ იყო ისეთი „ბუნებრივი“, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

ჯუმბერ პატიაშვილი „ოცდასამი წლის შემდეგ“

აეროპორში ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ნიკოლსკი დამხვდა და დეტალური ინფორმაცია მომაწოდა:

– დღის 12 საათზე დანიშნულია პარტიული აქტივის კრება. შემუშავებულია გეგმა, რომელშიც გაწერილია, თუ რა ქმედითი ღონისძიებები უნდა გავატაროთ ვითარების სტაბილიზაციისათვის.

თორმეტის ნახევარზე მოსკოვიდან ტელეფონით დამიკავშირდა თავდაცვის მინისტრი იაზოვი (რომელთანაც გარეჯის კომპლექსთან დაკავშირებით მანამდეც დაძაბული ურთიერთობა მქონდა) და მხოლოდ ერთი წინადადება მითხრა:

– თხუთმეტ წუთში თქვენთან იქნება ჩემი პირველი მოადგილე კოჩეტოვი.

თხუთმეტ წუთში მართლაც იღება ჩემი კაბინეტის კარი და კოჩეტოვი და როდიონოვი ერთად შემოდიან.

გამიკვირდა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, როდიონოვი თბილისში არ იმყოფებოდა. მივხვდი იმასაც, რომ ვერც კოჩეტოვი ჩამოფრინდებოდა თხუთმეტ წუთში მოსკოვიდან პირდაპირ ჩემს კაბინეტში.

პარტაქტივის შეკრების დაწყებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა.

ცხადი იყო, რომ კოჩეტოვი და როდიონოვი სწორედ კრებაზე დასასწრებად იყვნენ ცენტრალურ კომიტეტში მოსული. ნამდვილად არ მქონდა იმის სურვილი, რესპუბლიკის აქტივის სხდომას საკავშირო სამხედრო პირები დასწრებოდნენ, მაგრამ ჩემს სურვილზე ბევრი არაფერი იყო დამოკიდებული. მით უმეტეს, რომ ორივეს, როდიონოვსაც და კოჩეტოვსაც, ამის სრული უფლება ჰქონდათ.

კოჩეტოვი ამიერკავკასიის ჯარების ყოფილი სარდალი და ჩვენი ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო, ხოლო როდიონოვი – ასევე ჩვენი ბიუროს წევრი.

პარტაქტივის კრების დაწყებამდე თხოვნით მივმართე ორივეს: საქართველოს შსს-ს ე. წ. მერვე პოლკი, რომელიც იმხანად ყარაბაღში იყო, დაებრუნებინათ საქართველოში, რადგან თბილისი რამდენიმე ასეული მილიციელის იმედად იყო დარჩენილი. ქართული მილიციის დიდი ნაწილი იმხანად (ლიხნისა და ბზიფის მოვლენების შემდეგ) აფხაზეთში იყო მობილიზებული და სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში აუცილებლად მიმაჩნდა, რომ დედაქალაქში წესრიგი ისევ ქართულ მილიციას დაემყარებინა. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი თხოვნა, რომლითაც ასევე ოფიციალურად მივმართე საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს.

გავრცელდა ხმები, თითქოს 9 აპრილის წინა დღეებში კრემლში დეპეშას დეპეშაზე ვგზავნიდი და დახმარებას ვითხოვდი.

ტყუილია! არანაირი სხვა შინაარსის დეპეშა ჯარებთან და ძალოვან სტრუქტურებთან დაკავშირებით არც ჩემგან და არც ჩემი დავალებით მოსკოვში არ გაგზავნილა.

რასაკვირველია, მე მქონდა ვალდებულება, რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ კრემლი საქმის კურსში ჩამეყენებინა და ვაყენებდი კიდეც; თუმცა, ყოველთვის ვცდილობდი, კრიტიკული სიტუაციებიც კი შერბილებული ფორმით მიმეწოდებინა. ვითარების ხელოვნურად დრამატიზება და ემოციების უტრირება არასდროს ყოფილა ჩემთვის დამახასიათებელი. მით უმეტეს, რომ ბოლო წუთამდე დარწმუნებული ვიყავი – პროცესებს რესპუბლიკის, ანუ საკუთარი ძალებით გავაკონტროლებდით.

სამწუხაროდ, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ არასანქცირებულ მიტინგებსა და მანიფესტაციებს მფარველი და წამხალისებელი კრემლშიც ჰყავდა, ხოლო საკავშირო აგენტურის ქსელი გაცილებით ფართო და სოლიდური იყო (როგორც მთავრობაში, ასევე არაფორმალებს შორის,) ვიდრე ამის წარმოდგენა მე შემეძლო.

* * *

ყველა ისე ემსახურება საკუთარ ქვეყანას, როგორც შეუძლია და როგორც ესმის. იმ ადამიანების მიმართ, ვინც მართლაც გულანთებული იყო და აქციებშიც გულწრფელად, უანგაროდ იღებდა მონაწილეობას, მაშინაც და ახლაც ერთადერთ გრძნობას განვიცდი – პატივისცემას!..

რაც შეეხება კონკრეტულად ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, რომელთაც ამ წიგნში, სავარაუდოდ, ზოგიერთი რამ გაღიზიანებს – მე ვწერ იმას, რაც რეალურად იყო, ფაქტის შეფასება უკვე მკითხველის პრეროგატივაა.

ბევრისგან განსხვავებით, რომელთაც ზვიად გამსახურდია პირისპირ ერთხელაც არ უნახავთ, მე ზვიადს ბავშვობიდან ვიცნობდი და ზოგიერთი დაბადებულიც არ იყო, როცა მე და ზვიადი თანატოლებთან ერთად ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით... ასე რომ, ზვიადის ჩემგან დაცვის აუცილებლობა არ არსებობს და თუ ვინმეს საკუთარი თავის რეკლამისა თუ თვითდამკვიდრებისთვის ეს მაინც სჭირდება, ეს მისი ნება და პრობლემაა. ავანტიურისტებს ნამდვილად არ ავყვები, მით უფრო, რომ კერპთაყვანისმცემელი არც თავად გახლავართ და არც სხვების კერპთაყვანისმცემლობისა მესმის.

თუ ზვიად გამსახურდიას მომხრეების გარკვეულ ნაწილს ის გააღიზიანებს, რომ მერაბ კოსტავაზე გაცილებით მეტი სიმპათიითა და სიყვარულით ვლაპარაკობ, ვწუხვარ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: პიროვნული ღირსებებით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ერთ სიბრტყეში არც მაშინ განვიხილავდი და არც დღეს განვიხილავ.

მარად მოუშუშებელი 9 აპრილი

მერაბ კოსტავას ვერც იმ ე. წ. ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან გავაიგივებ, რომელთა შესახებაც აქციებზე ხმას ავრცელებდნენ, თითქოს ისინი სუკმა დააპატიმრა, იმ დროს, როცა სინამდვილეში რესტორნებში ქეიფობდნენ. ყანწებს ყანწებზე ცლიდნენ და აქციაზე მოშიმშილე ადამიანების გულწრფელი ემოციებითა და შეშფოთებით სპეკულირებდნენ.

როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში დუმილს ოქროს კი არა, ჩალის ფასიც არ ჰქონია! ოცდასამი წელია, იმას გაჰყვირიან – პატიაშვილი 9 აპრილის ტრაგედიაზე სიმართლეს რატომ არ ამბობსო(?!).

ვამბობ და, სავარაუდოდ, ახლა იმას „გააპროტესტებენ“ – „ცეკას“ ყოფილი მდივანი კერპებს გვინგრევს და მითებს გვიუფასურებსო(!).

ვისაც სურს კერპთაყვანისმცემლად და ფანატიკოსად დარჩენა, დარჩეს. მე მათთვის ვლაპარაკობ და ვწერ, ვისაც რეალური ისტორია აინტერესებს და არა ლეგენდები და მითები!

რასაკვირველია, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელს, სიტუაციის კონტროლზე პასუხისმგებლობა მეკისრებოდა, რომელსაც არც მაშინ გავურბოდი და არც დღეს გავურბივარ.

დიახ, მე ვიყავი საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი, რომელიც არაფორმალებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. იმ არაფორმალებთან, რომლებიც მოთხოვნას მოთხოვნაზე აყენებდნენ, რადიკალიზმს რადიკალიზმს უმატებდნენ, პირობას პირობად არ ასრულებდნენ და ქვეყანა სრული დესტაბილიზაციისა და კატასტროფისკენ მიჰყავდათ!..

ვიყავი რესპუბლიკის ხელმძღვანელი, რომელიც პარალელურად აფხაზურ სეპარატიზმს, ხალხთა შორის დაპირისპირებას ებრძოდა და რადიკალურ საკადრო ცვლილებებს ატარებდა.

ვიყავი რესპუბლიკის ხელმძღვანელი, რომელსაც, ამავე დროს, კრემლთან ჰქონდა ანგარიშვალდებულება და ცდილობდა, საკავშირო ძალების ჩაურევლად აერიდებინა თავიდან საკუთარი ქვეყნისა და ხალხის გარდაუვალი უბედურება...

ვიყავი რესპუბლიკის ხელმძღვანელი, რომელსაც ყველა სტრუქტურაში, ყველა კაბინეტსა და ყველა ორლობეში აგენტურა ჰყავდა ჩასაფრებული... რომელსაც საჭირო ინფორმაციას ან დროულად არ აწვდიდნენ, ან საერთოდ უმალავდნენ...

ყველა თავის თამაშს თამაშობდა!

ეს იყო ლახტის წრე, რომელიც ვერაფრით გავარღვიე, რადგან ერთ მონოლითად შეიკრა – კრემლიც, ჯარიც, ცენტრალური კომიტეტიც და არაფორმალების აგენტურაც! ამ ლახტის წრეში მოქცეულს კი 9 აპრილის ტრაგედიის ყველა შოლტი მე მომხვდა.

ამ ყველაფერს თანაგრძნობისთვის არ ვამბობ; მით უფრო, არ ვამბობ სიბრალულისთვის...

* * *

ტრაგედიის შემდეგ იაზოვმა პირველსავე ინტერვიუში დაადასტურა, რომ სხვადასხვა უწყებამ აპრილის დასაწყისში მოსკოვიდან საქართველოში უამრავი „უჩინარი“ აგენტი გამოგზავნა.

თვითონ ის ფაქტი, რომ კოჩეტოვი და როდიონოვი აქტივის დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მოულოდნელად მოვიდნენ ჩემს კაბინეიტში, მაშინ როცა არც ერთი არ მეგულებოდა საქართველოში, და გამომიცხადეს – საკუთარი თვალით ვნახეთ, ღამით მომიტინგეების რიცხვი მცირდება და აქციაც სწორედ ღამით უნდა დავშალოთო – მეტყველებს იმაზე, რომ ისინი, სულ მცირე, წინა ღამით მაინც უკვე თბილისში იმყოფებოდნენ და ამის შესახებ მე, რესპუბლიკის პირველი პირი, არც ერთმა უწყებამ არ ჩამაყენა საქმის კურსში.

მენიშნა იური როსტის ინტერვიუც, რომელიც მან 9 აპრილის ტრაგედიიდან მალევე გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეტაში“.

ფოტორეპორტიორი, რომელიც ლამის გმირად შერაცხეს ქართველებმა, რადგან მსოფლიოს სწორედ მის მიერ გადაღებული ფოტომასალით შეექმნა წარმოდგენა 9 აპრილის ტრაგედიაზე, წერს:

– 8 აპრილს მეგობრები დამიკავშირდნენ თბილისიდან და მითხრეს: სასწრაფოდ ჩამოდი თბილისში. ამაღამ აქ დიდი ამბები მოხდება და საოცარი კადრების გადაღებას შეძლებ... მე გავითვალისწინე ჩემი მეგობრების თხოვნა და რჩევა და 8 აპრილს, ბოლო რეისით თბილისში ჩავფრინდი...

საოცარია, ამას ამბობს და წერს საქართველოდან ინფორმირებული მოსკოველი ფოტორეპორტიორი, მაშინ, როცა ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მის ხელთ არსებული ყველა ოფიციალური ინფორმაციით, დარწმუნებულია, რომ მოედანს მომიტინგებისაგან ისე გაათავისუფლებენ, არც ერთი მოქალაქის არათუ სიცოცხლეს, თმის ღერს არ შეექმნება საშიშროება.

თავი მეთექვსმეტე

7 აპრილს პარტაქტივის კრება დღის თორმეტ საათზე დაიწყო.

როდესაც კოჩეტოვთან და როდიონოვთან ერთად დარბაზში შევედი, იქ ოთხასამდე პარტიული მუშაკი, ინტელიგენციისა და საზოგადოების წარმომადგენელი დაგვხვდა.

არც ერთს არ გასჩენია პროტესტი, არც ერთს არ დაუსვას კითხვა, რატომ მახლდნენ თან კოჩეტოვი და როდიონოვი, ან რა ესაქმებოდათ სამხედრო პირებს პარტაქტივის კრებაზე.

დარბაზში მყოფთა ტაშის თანხლებით ავედით პრეზიდიუმამდე.

კრების მსვლელობის დროს სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა.

იმ აზრს, რომ სიტუაციის უკიდურესად დაძაბვის თავიდან ასაცილებლად აქცია აუცილებლად უნდა დაშლილიყო, ყველა უსიტყვოდ დათანხმდა.

ჟურნალისტების ამალით სიარული და კერძო სტენოგრამების ფარულად გაკეთება ჩემი სტილი არ იყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, მეხსიერება კარგი მაქვს. დარბაზში ოთხასი კაცი იჯდა და იმედია, ვისაც არც მახსოვრობა და არც სინდისი ღალატობს, არ დავიწყებია, რომ ზოგიერთი ამხანაგი, რომელიც დღემდე ჩუმადაა, მაშინ მხოლოდ აქციის მშვიდობიანად დაშლას კი არა, არაფორმალების დასჯასა და დაპატიმრებასაც მოითხოვდა და არც ლიდერების „ფაშისტებად“ და „რევანშისტებად“ მოხსენიებას მორიდებია.

კრების მსვლელობის დროს რეჟისორი რეზო ჩხეიძე გამოვიდა ინიციატივით: შექმნილიყო ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც მიტინგის ორგანიზატორებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და შეძლებდა მათ დარწმუნებას, რომ სიტუაციის უკიდურესად დაძაბავას ქვეყანა გარდაუვალი კატასტროფისკენ მიჰყავდა და მიტინგები უნდა შეეწყვიტათ.

რასაკვირველია, რეზო ჩხეიძის ინიციატივას მხარი დავუჭირეთ.

ანალოგიური ინიციატივა (რომელიც უშედეგოდ დასრულდა) პოეტ მუხრან მაჭავარიანსაც ჰქონდა; თუმცა, თავად მუხრანი ხელჩაკიდებული დადიოდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შორის 4 აპრილის აქციაზე, ანუ მეორე დღესვე მას შემდეგ, რაც ცენტრალურ კომიტეტში, ჩემს კაბინეტში ზვიადთან და მერაბთან შევთანხმდით, რომ აქციებს ორი კვირით გადადებდნენ.

იმ დღეს პარტაქტივის კრებაზე დაისვა საკითხი: უნდა გამოვსულიყავი თუ არა მე, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი, მომიტინგეებთან?!

ყველა წინააღმდეგი წავიდა, ომარ ვარძელაშვილის გარდა, რომელმაც მეორე დღეს ბიუროზე უკვე შეცვალა პოზიცია და უმრავლესობის მსგავსად განაცხადა:

– მომიტინგეებთან გასვლა არანაირ დადებით შედეგს არ გამოიღებს. პირიქით, შესაძლოა, ეს კიდევ უფრო მეტი აგრესიისა და პროტესტის საბაბი გახდეს.

დღემდე ბევრს ლაპარაკობენ ამ თემაზე, არის სჯა-ბაასი და აზრთა სხვადასხვაობა...

ბუნებრივია, მეც არაერთხელ დავფიქრებულვარ, მაგრამ ნებისმიერ სავარაუდო უკეთეს შედეგს ყოველთვის ერთი ჯიუტი ფაქტი მიბათილებს: მომიტინგეები მთავრობის სასახლესთან არაფორმალთა ლიდერებმა შეკრიბეს და ისინი მხოლოდ და მხოლოდ მათ ნება-სურვილს ემორჩილებოდნენ!

ახლოს არ გაიკარეს და არ მოუსმინეს ჩვენ მიერ წარგზავნილ არც ერთ პარტიულ ფუნქციონერს, არც ერთ საზოგადო მოღვაწეს, არც შეისმინეს არანაირი თხოვნა, არანაირი გაფრთხილება...

არ ვიცი, ვის აქვს იმის ილუზია, რომ ადამიანები, რომლებმაც უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს პატრიარქს არ დაუჯერეს, მე, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დამიჯერებდნენ(?!).

ფაქტია, მე მსგავსი ილუზია არც მაშინ მქონია და არ დღეს მაქვს.

ერთადერთი, ვისაც მომიტინგეების დაშლა შეეძლო, აქციის ორგანიზატორები იყვნენ, სწორედ ამიტომ ვაწარმოებდი მათთან მოლაპარაკებას, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, მათ მოცემული პირობა არ შეასრულეს.

მერაბ კოსტავა ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში ამბობს: პატიაშვილი მაშინ ჩვენ გვერდით რომ დამდგარიყო, თავსაც გადაირჩენდა და ქვეყანას გადაარჩენდაო.

მერაბი, როგორც ყოველთვის, ალბათ, ამ სიტყვების წარმოთქმის დროსაც გულწრფელად, მაღალი იდეალებიდან უყურებდა სამყაროს... მაგრამ სამყარო, ისევე როგორც მერაბის გვერდით მდგომები, ყოველთვის გულწრფელი არ ყოფილან. პირიქით, ის ხშირად დაუნდობელიც იყო!

მერაბ კოსტავა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იდეაში საბჭოთა იმპერიალიზმს მართლაც ებრძოდა, მაგრამ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რეალურად რა მექანიზმით, რა სტრუქტურებით მუშაობდა კრემლი, რაზე იდგა თავად იმპერიალიზმი, ანუ ის, რასაც პატიმრობაში, გადასახლებაში და თავისუფლებაზე მყოფი წლების განმავლობაში ოცნებით „ანგრევდა“...

უამრავი მიზეზი არსებობს, რის გამოც მე ჩემს პასუხისმგებლობასა და პრინციპებზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ მაშინაც კი, თუ მხოლოდ ემოციებით მივიღებდით გადაწყვეტილებას, დავტოვებდი ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტს და მომიტინგეებს შევუერთდებოდი, შესაძლოა, ფანატიკოსებისა და იდეალისტებისათვის გმირი მართლაც გავმხდარიყავი!

საქართველოში ხომ არაფერია იმაზე იოლი, ვიდრე ერთ წუთში გმირად „აღიარება“(!).

...მაგრამ ასეთ შემთხვევაში გაპონის როლს შევასრულებდი, საქართველოში ქვა ქვაზე არ დარჩებოდა, ხოლო მსხვერპლი ორი ათეულის ზღვარზე კი არ გაჩერდებოდა (როგორც ეს ჩემი „ცეკას“ პირველი მდივნობის პირობებში 9 აპრილს მოხდა), ასეულებს და ათასეულებს მიაღწევდა.

ამას თავის მართლების გამო კი არ ვამბობ, მათ გასაგონად ვამბობ, ვისაც ფუჭი ლაპარაკის, იაფფასიანი პოპულიზმისა და სხვისი განვლილი გზის განქიქების გარდა ცხოვრებაში არაფერი გაუკეთებია; ვისაც წარმოდგენა არა აქვს, რა არის რეალურად პასუხისმგებლობა არაერთი, ორი, სამი ადამიანის ან სულაც ათასობით მომიტინგის, არამედ მთელი ერის, მთელი ქვეყნის წინაშე!

იმ დღეს კი, როცა პარტაქტივის კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომიტინგეებთან ჩემი გასვლა ყოვლად დაუშვებელი იყო, 7 აპრილს სატელევიზიო მიმართვა გავაკეთე.

* * *

8 აპრილის დილა ასეთი სურათით დაიწყო – მომიტინგეები კვლავ აგრძელებენ მიტინგს, ცენტრალურ კომიტეტში კი მუშაობას ვაგრძელებთ.

ოთხასკაციანი დარბაზი, რომელშიც წინა დღეს პარტაქტივის კრება ჩატარდა, კვლავ გაჭედილია. ამჯერად უკვე 8 აპრილს განხილულ აუცილებელ ღონისძიებათა ნუსხას ვამტკიცებთ.

პარტაქტივის მიერ შემუშავებულ აუცილებლად გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაში ერთ-ერთი პუნქტი ასეთი შინაარსის შემცველია – არასანქცირებული მიტინგის ორგანიზატორთა იზოლირება, რაც, ბუნებრივია, არაფორმალთა ლიდერების დაპატიმრებას გულისხმობს.

ამ წინადადებას ყველა ერთხმად უჭერს მხარს. უფრო მეტიც, დარბაზი ტაშისკვრით ხვდება.

სწორედ მაშინ თქვა ჯანსუღ ჩარკვიანმა თავისი ცნობილი ფრაზა:

– ახლა ყველა ტაშს უკრავთ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ მოვა დრო და პასუხს მხოლოდ ამათ მოსთხოვთ! – და ხელი ჩვენკენ გამოიშვირა.

კრება ჯერ არ დასრულებულიყო, აქციის ორგანიზატორები კი უკვე ინფორმირებული იყვნენ ამ გადაწყვეტილების შესახებ და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასწრაფოდ დატოვეს მიტინგი.

სამაგიეროდ, მოულოდნელი იყო იმავე დღეს, აქტივის დასრულების შემდეგ რაზუმოვსკის ზარი.

– კრემლი კატეგორიული წინააღმდეგია, აქციის ორგანიზატორების დაპატიმრების უფლებას არ გაძლევთ! – განმიცხადა მან.

(გაგრძელება იძნება)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ოპოზიციას იმუნიტეტი დაუსუსტდა

საძართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის პროცესუალურ კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა – გენერალურ პროკურატურას უფლება მისცა, აღძრას სისხლის სამართლის საქმეები დეპუტატების წინააღმდეგ. მართალია, ცვლილება არ იძლევა ნებას, დააპატიმრონ პარლამენტის წევრები ამ საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე, მაგრამ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლები ამტკიცებენ, რომ, როდესაც ასუსტებენ სადეპუტატო იმუნიტეტს, ხელისუფლება ცდილობს, გაანადგუროს ოპოზიცია.

სისხლის სამართლის პროცესუალურ კოდექსში იმ ცვლილებათა შეტანის უშუალო მიზეზი, რომლებიც სადეპუტატო იმუნიტეტს შეეხება, გახდა გენერალური პროკურატურის საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელია აღიძრას სისხლის სამართლის საქმე სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონის ყოფილი პროკურორის, ექსპრეზიდენტ მიხეილ საკაშვილის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის წევრის როლანდ ახალაიას წინააღმდეგ. გამომძიებლებმა ეჭვი შეიტანეს, რომ ის ძალავდა ფულს ბიზნესმენებს. ინტერესი საქმისადმი ღვივდება იმით, რომ როლანდ ახალაია არის დათა და ბაჩანა ახალაიების მამა, რომლებსაც მაღალი პოსტები ეკავათ პრეზრიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩანა ახალაია უკვე იხდის სასჯელს თბილისის ციხეში 2006 წელს ბუნტის მკაცრად ჩახშობის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტიტუციო უსაფრთხოების დეპარტამენტის ექსხელმძღვანელი დათა ახალაია კი, რომლის მიმართაც გაჩნდა ეჭვი ეჭვმიტანილთა საკუთარი ხელით დახვრეტის შესახებ, გაიქცა ქვეყნიდან 2012 წლის შემოდგომაზე ხელისუფლების შეცვლისთანავე.

ხელისუფლებამ ნება დართო პარლამენტის დეპუტატების სისხლის სამართლის დევნაზე

პროკურატურამ გადაწყვიტა, აღძრას სისხლის სამართლის საქმე ახალაია-უფროსის წინააღმდეგაც, მაგრამ გამომძიებლებს ხელს უშლიდა კონსტიტუციით გარანტირებული სადეპუტატო იმუნიტეტი. სხვათა შორის, საპარლამენტო უმრავლესობამ მალე გამონახა გამოსავალი. „კონსტიტუცია კრძალავს დეპუტატის მხოლოდ დაპატიმრებას, სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსი კი რატომღაც არ იძლევა ნებას აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ეს ანტიკონსტიტუციურია“, – განმარტა პარლამენტის ადამიანთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ადვოკატმა შალვა შავგულიძემ. მან დააყენა წინადადება, „სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსი მოიყვანონ კონსტიტუციის შესაბამისობაში, ესე იგი ნება მიეცეს პროკურატურას, აღძრას სისხლის სამართლის საქმე დეპუტატების წინააღმდეგ“. რაც გაკეთდა კიდეც.

პარლამენტის წევრების დაპატიმრება საკანონმდებლო ორგანოს ნებართვის გარეშე გამომძიებლებს არ შეუძლიათ, მაგრამ ექსპრეზიდენტ სააკაშვილის თანამებრძოლები მიიჩნევენ, რომ სიახლე მიმართულია სწორედ მათ წინააღმდეგ.

„ბიძინა ივანიშვილს არაერთგზის განუცხადებია, რომ სურს, გაანადგუროს ოპოზიცია, და მისი მუქარა უკვე იწყებს ცხოვრებაში განხორციელებას“, – განაცხადა დეპუტატმა ოპოზიციური პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გოკა გაბაშვილმა. საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერმა დავით ბაქრაძემ კი გაგვაფრთხილა: როდესაც ღებულობენ შესწორებას, დეპუტატები „განიარაღებულნი რჩებიან პროკურატურის წინაშე, რომელიც ღებულობს შესაძლებლობას, გამოუცხადოს დევნა ნებისმიერ არახელსაყრელ პოლიტიკოსს“.

მიუხედავად ამისა, უმრავლესობამ ხმა მისცა შესწორებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ დეპუტატების მნიშვნელოვან ნაწილს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ წარსულში ეკავა მნიშვნელოვანი პოსტები აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მათ შორის ძალოვან სტრუქტურებშიც, უახლოეს პერიოდში მათ წინააღმდეგ, ექსპერტების აზრით, სავსებით შესაძლებელია, წამოყენებულ იქნეს ბრალდებები რეზონანსულ საქმეებზე, რომლებიც გამოძიების პროცესშია.

ИЗВЕСТИЯ

◎ ეკონომიკა

საფონდო ბირჟა – ინექცია ქართული ეკონომიკისთვის

რა გაგვიუმჯობესებს ცხოვრებას?!

ბევრი მსჯელობა, კამათი, მოსაზრება მოგვისმენია ბოლო 20 წლის განმავლობაში იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ აღორძინდეს ეკონომიკა. რა სტანდარტებსა და არგუმენტებზე არ უსაუბრიათ პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს, სოციოლოგებს თუ სხვებს. ახალი ხელისუფლების დაპირებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სახელწოდება „ქართული ოცნება“ ხომ პირდაპირ კავშირშია ცხოვრების საუკეთესო პირობებთან. მაგრამ საბოლოოდ მივიღეთ რა? თუკი ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს დავესესხებით: **„ხელისუფლება ვერ ახერხებს მოსახლეობის ვერც დასაქმებას და ვერც სიღარიბის პრობლემის გადაჭრას. მოსახლეობაში კიდევ უფრო მატულობს იმედგაცრუების ტალღა. ეს პროცესი თვითგანვითარებადი პროცესია და მისი შემაკავებელი ძალა არ ჩანს.**

ევროპის ისტორია გვასწავლის, რომ მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს არა მსხვილი ბიზნესი და მეგაპროექტები, არამედ მცირე ბიზნესი და მისი განვითარება, რათა ხალხმა ამოისუნთქოს“, – დასძენს ის.

ვნახოთ, რას ფიქრობენ ამაზე ეკონომისტები...

გასულ კვირას ეკონომიკურ ფორუმზე თავი მოიყარეს თეორეტიკოს-ეკონომისტებმა და საკმაოდ ამბიციური ტონით შესთავაზეს მთავრობას და პარალელურად საზოგადოებას ეკონომიკური ევოლუციის მარტივი ფორმულა. რა? – ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის განვითარება. არა ტურიზმი, არა ენერგეტიკა, არა სოფლის მეურნეობა ან სხვა რომელიმე პრიორიტეტული დარგი, არამედ პორტფელიურ ინვესტიციაზე გადასვლა.

ფასიანი ქაღალდების ბირჟის სამეწარმეო საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ლოლაძე** ამბობს, რომ ქვეყანაში არ არის თერმომეტრი, რითაც შეიძლება გაიზომოს ეკონომიკა, რადგან საქართველოში არ არსებობს საფონდო ბაზარი: **„ქართული ფული, რომელიც ქვეყანაში უნდა დარჩენილიყო, უცხოეთში გადის. ანუ რეალურად არსებული ფინანსური სიკეთეები ხალხისთვის ხელმისაწვდომი არ არის. არის საბანკო კრედიტები, მაგრამ ეს არის სხვისი ფული, რომელიც უნდა დაბრუნო. უცხოური ინვესტიციები არასანდოა, ვინაიდან სხვა სახელმწიფოში განვითარებულმა კრიზისმა შეიძლება აქ ჰპოვოს ასახვა, როცა ინვესტორი ამის გამო აჩერებს ინვესტირებას. ასევე როგორც კი რამე პრობლემა ჩნდება უცხო ბირჟაზე, იქმნება ბარიერი, ჩვენი კი ამ დროს კი არ გვაქვს საკუთარი საფონდო ბირჟა“.**

ფასიანი ქაღალდების ისტორია ჩვენთან იქიდან იწყება, როცა ქვეყანაში 1999 წელს საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა, რომელიც ბირჟის შექმნის საფუძველი გახდა. ბაზარი თავდაპირველად იყო სუსტი, თუმცა, კაპიტალის განვითარების პროგრამა თანდათანობით დაიხვეწა. 2000 წელსვე უკვე არსებობდა ლიცენზირებული ბირჟა, ბროკერები, ბაზარმა დაიწყო ნდობის მოპოვება... 2007 წელს კი გაჩნდა ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებიც. მაგრამ როგორც ყველაფერს მასაც პრობლემები შეექმნა. საფონდო ბირჟის დიდი კონკურენტი საბანკო სექტორია, რომელსაც არ სურს, ფული ფასიან ქაღალდებში განთავსდეს, არამედ უნდა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს რეალურად არსებული სოლიდური კაპიტალი. კანონმდებლობაში არსებობდა ფუნდამენტური ჩანაწერი, რომელიც იყო ფასიანი ქაღალდების ბირჟის განვითარების მყარი გარანტი: „ფასიანი ქაღალდი, რომელიც დაშვებულია საჯაროდ მხოლოდ სავაჭრო ბირჟაზე“. 2007 წელს რატომღაც გაჩნდა ასეთი ჩანაწერი: „საფონდო ბირჟაზე ან მის გარეთ“. ამასთანავე რეგულატორად გამოცხადდა ეროვნული ბანკი. შედეგად მივიღეთ ის, რომ „ნაცრისფერ“ ბაზარზე დღესაც იდება გარიგებები, მოგება რჩება ცალკეულ ინსტიტუტებს, მაგრამ არა ქვეყანას.

როგორც ეკონომისტი **ვახტანგ სვანაძე** აცხადებს: **„ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა ბოლო ორი წლის განმავლობაშიც. ამის მაგივრად, რომ მთავრობამ შეცდომების გამოსწორება დაიწყოს – აღადგინოს 2007 წლამდე კანონში არსებული ნორმები, მიდის ანტიკამპანია, საფონდო ბირჟის დისკრედიტაცია, რომ თითქოს ის არის მონოპოლისტი. არადა, რეალურად ის არის ორგანიზებული ბაზარი, მაგრამ არ უნდათ იმის გაცნობიერება“.**

ეკონომისტი **ემზარ ჯგერენაია** პირდაპირ ამბობს, რომ თუკი საქართველოს მთავრობა გონს მოეგება და საფონდო ბირჟაზე იზრუნებს, 2025 წლისთვის ცხოვრების დონე 8-ჯერ მაღალი გვექნება, ვიდრე დღეს გვაქვს.



„2002 წლიდან ეკონომიკის ზრდა მაღალი ტემპით მიმდინარეობდა. იზრდებოდა საბიუჯეტო შემოსავლები, ინვესტიციები, მაგრამ არ იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობა და არ უმჯობესდებოდა ცხოვრების პირობები. იზრდეობდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, რეალურად კი ცვლილება უკეთესობისკენ ეკონომიკის არც ერთ დარგს არ დასტყობია“, – აღნიშნავს ის. ექსპერტთა გარკვეულმა ჯგუფმა დიდხანს იფიქრა გამოსავალზე, გააკეთა ანალიზი, გათვლები და შეეცადა მიზეზების პოვნას.

ეკონომისტების გათვლებით, ეკონომიკა თუნდაც ყოველ წელიწადს 5 პროცენტით რომ გაიზარდოს, მაინც ვერ გავცდებით 8000 ლარს ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში, რაც სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

ემზარ ჯგერენაია მოითხოვს ხელისუფლებისგან ქმედით ნაბიჯებს და იმ საშურ რელსებზე გადასვლას, რასაც რეალურად შეუძლია თითოეულ ოჯახზე კარგი გავლენის მოხდენა. **„საქართველო უნდა გადავიდეს პორტფელურ ინვესტიციებზე. ანუ ბიზნესმა, რომელსაც გააჩნია ფული, იგი უნდა განათავსოს ფასიან ქაღალდებში ქვეყნის შიგნით. საფონდო ბირჟას თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს ბანკებთან მიმართებაში. ეკონომიკის განვითარების რამდენიმე ფორმულა არის ცნობილი: მწარმოებლურობა, შრომითი რესურსებისა და კაპიტალის გაზრდა – მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება დიდ დრო, ნოუ-ჰაუ, ინვესტიციები, ტექნოლოგიები და სხვა უამრავი ფაქტორი. ამ დროს ყველაზე ადვილი საკეთებელია საფონდო ბირჟის განვითარება. მთავრობამ აქცენტი გააკეთა დაგროვებით პენსიაზე, რაც კიდევ ერთი კარგი სტიმულატორია საფონდო ბირჟისა. უნდა შეწყდეს ბანკების მონოპოლიზაცია, შემოიღონ საგადასახადო შეღავათები: მაგალითად, შემოსავლები კი არ დაიბეგროს, არამედ დაგროვება... თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს მოგვცემს 14-ჯერ მეტ ზრდას ეკონომიკის კუთხით. ხოლო 10 წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი 18 ათასი დოლარი იქნება“,** – ირწმუნება ექსპერტი. ეკონომისტთა გუნდი ამ თემაზე დეტალურ საუბარს უახლოეს მომავალში გეგმავს ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

დროა, მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმაც დაიწყოს ფიქრი რეალურ გამოსავალზე. იქნება, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი კარგი ბეგრაუნდი მართლაც და საფონდო ბირჟის სტიმულაციაა... თორემ საზოგადოება მოუთმენლად ელოდება გარდატეხას და დროც არ ჩერდება... „ქართულ ოცნებას“ კი რატომღაც ოცნებების ახდენა გადაუვადდა!!!

თეა მოსია

დედამიწის ზურგზე

დნესტრისპირეთის ხელისუფლება მოლდოვასთან კავშირის სრული გაწყვეტისა და ფორმატ „5X5“-ის ფორმატში მოლაპარაკებაზე უარის შესახებ გამოაცხადებს

დნესტრისპირეთის უარის შესახებ მონაწილეობა მიიღოს 10 აპრილისთვის დანიშნულ მოლაპარაკებაზე კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით – საუბარია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნინა შტანსკის წერილში. უარი დიპლომატებმა განმარტეს იმით, რომ კიშინიოვმა დაარღვია დაპირება – გააუქმოს იმპორტული აქციზი დნესტრისპირეთის საწარმოებისთვის.

* * *

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში აპირებენ, სიკვდილით დასაჯონ და რეპრესია განახორციელონ 1200 ჩინოვნიკსა და მათს ნათესავებზე. ერთი კაცი უკვე დაწვეს ცოცხლად

წყაროები იტყობინებიან რეპრესიების მესამე ტალღის მომზადების შესახებ შეთქმულებასთან დაკავშირებით, რომელსაც სათავეში ედგა ჩრდილოეთი კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის ბიძა ჩაე სონ თხეკი. აფართოებენ მთელ რიგ საკონცენტრაციო ბანაკებს, ელოდებიან მაღალი რანგის პატიმრებს. დაპატიმრებულთა ნახევარი შეიძლება სიკვდილით დასაჯონ.

* * *

ნატოს არ სურს ცივი ომის დაბრუნება, მაგრამ განავითარებს სამხედრო მრეწველობას, განაცხადა ალიანსის გენერალურმა დივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა

მისი სიტყვებით, ნატო „იძულებულია“ უპასუხოს რუსეთის პოლიტიკას უკრაინაში. რასმუსენმა მოუწოდა ალიანსის წევრებს, ახსოვდეთ საფუძვლიანი პრინციპი: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“, და დააბანდონ დიდი სახსრები თავდაცვასა და სამხედრო მრეწველობის განვითარებაში.

* * *

სტრასბურგში იხსნება ევთოს სესია, რომელზეც რუსეთს შეიძლება ჩამოართვან ხმის უფლება ყირიმის გამო

ჯერ კიდევ სესიის ოფიციალურ გახსნამდე ევთოს ბიურომ უნდა განსაზღვროს „სანქციონური ინიციატივები“. სამდივნოში დარეგისტრირებულია ორი წინადადება – ბრიტანელი რობერტ უოლტერისა რუსეთის ფედერაციის დელეგაციის უფლებამოსილებათა შეწყვეტისა და დანიელი მაიკლ აასტრუპ იენსენისა – რუსეთისთვის ასამბლეაში ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

* * *

ჩეხეთის პრეზიდენტმა მოუწოდა ნატოს, შეიყვანოს ჯარები უკრაინაში მის ალმოსავლეთ ოლქებში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში

„თუ რუსეთი გადაწყვეტს, გააფართოოს ტერიტორიული ექსპანსია აღმოსავლეთ უკრაინაში, მაშინ ხუმრობას ბოლო მოელება“, – ხაზგასმით აღნიშნა მილოშ ზეანმა. ამავე დროს მან შესთავაზა ევროკავშირს, შეურიგდეს იმას, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილი გახდა: „ჩვენ რისი დეკლარირებაც უნდა მოვახდინოთ, უახლოეს მომავალში ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება“.

* * *

ლატვიაში სამი თვით შეწყდა არხ „როსია რტრ“-ის გადაცემათა რეტლანსაცია

გადაცემა რეტლანსაციის დროებით შეწყვეტის შესახებ ადრე მიიღო ლატვიის ელექტრონული მასობრივი ინფორმაციების საშუალებების ეროვნულმა საბჭომ. ტელეარხს ბრალს სდებენ „არასწორი“ ინფორმაციის გავრცელებაში უკრაინაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

◎ საქველმოქმედო კონცერტი

...უმუსიკოდ შესრულებული „ქართული“

ამ დღეებში მშობლიურ რაიონს ვეწვიე. სტუმართმოყვარე და ხელოვნების სიყვარულით გულანთებულმა აბაშელებმა საქველმოქმედო კონცერტზე დამპატიჟეს, რომელიც რაიონის კულტურის ცენტრში გაიმართა.

საგულისხმოა, რომ კონცერტზე შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ავადმყოფი ბავშვის სამკურნალოდ.

საკონცერტო ღონისძიებაში მონაწილეობდა სხვადასხვა ანსამბლი.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა რაიონის ხალხური ცეკვის საბავშვო ანსამბლმა „ქილორმა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – ანზორ თორდია). „ქილორი“ ხოხობს ნიშნავს, ამიტომაც მათი რეპერტუარი ძირითადად მეგრულ ფოლკლორზეა აგებული...

საბავშვო ანსამბლმა შეასრულა აჭარული „განდაგანი“, ცეკვა „ქართული“ და სხვ.

აღსანიშნავია, მოცეკვავეების მარიამ თოფურიას, გიორგი ბზიავას და რატი ბოკუჩავას ერთგვარი „გმირობა“. დაიწყეს თუ არა ბავშვებმა ცეკვა „ქართული“, მოულოდნელად მუსიკა შეწყდა... შეწუხდნენ კულტურის ცენტრის მუშაკები... მაგრამ არ დაიბნენ პატარები – თითქოს არაფერი მოხდაო, მუსიკის გარეშე გააგრძელეს ცეკვა.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა, ტაში არ შეუწყვეტია ცეკვის მანძილზე იქ მყოფ საზოგადოებას. დაუფასდა შრომა მათ პედაგოგს.

...გამოვედი დარბაზიდან, ხალხი აღფრთოვანებული ისევ ამ შავთვალება მექართულე მარიამზე ლაპარაკობდა, აქებდა რატის და გიორგის. სამადლობელ სიტყვას არ იშურებდა ნაცნობ-უცნობი... ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ დალოცა პატარა მარიამი და ასე ბრძანა – „აი, ღვთივმიმადლებული ნიჭი“...

საქველმოქმედო კონცერტის დასასრულ ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა კონცერტის მონაწილეებს და მთლიანად რაიონს.

გიული ლიპარტია

მარიამ თოფურია, რატი ბოკუჩავა, გიორგი ბზიავა – კონცერტის შემდეგ ქორეოგრაფ ანზორ თორდიასთან ერთად.

◎ ოპტიმიზმი

უკუღმართობა

სულხან-საბას ლექსიკონის განმარტება: **„უკუღმა – წაღმის წინააღმდეგ, უკუღმართი – პირუკუღმა, უკუღმართი – არა წაღმართის მოქმედი, წაღმა – სისწორე, წაღმართი – უკუღმართობის წინააღმდეგ“.** ისე... ჩვენში ცელქმოუსვენარ ბავშვზეც იტყვინ ხოლმე, რბილად, შემრიგებლურად, ღიმილით – რა უკუღმართიაო... მაგრამ... თუ გაიზრდება – შურს, ბოღმას, ღალატს, სიცრუეს, ვერაგობას გამოამჟღავნებს-გამოიჩენს, უმალ სულხან-საბას ლექსიკონი გაგვახსენდება... არადა... ვგონებ, ასეთი არ იქნებოდნენ ადრე. ამიტომაც მათ დღევანდელ საქციელს – უკუღმა სვლას წაღმის წინააღმდეგ, დროებითი მოვლენა ვუწოდოთ და არა ლექსიკონში დაფიქსირებული მკაცრი განმარტება... სიტყვაც, ტერმინიც მივაშველოთ – ბედუკუღმართობა. ესე იგი, არ სურდათ (ვითომ?) და ბედმა არგუნათ... ისე როგორც იმ სიმღერის ტექსტშია „ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი“ (ვაჟა-ფშაველა). სოლისტის ეს არია, თანაგრძნობას და წუხილს იწვევს, მაგრამ... დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ოპერას არ ჰგავს, სამშობლო ჩვენი დიდ განცდაშია, „უკუღმა ტრიალის“ მსურველნიც, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრნი არიან, არა ბედოვლათები (იოლი შეფასებაა), არამედ უკუღმართნი – პირუკუღმა მთქმელნიც და გამკეთებლებიც... წაღმა – სისწორის მოწინააღმდეგენი...

ჯერ ერთი, იქნებოდა ასეთი, როგორც ზემოთ ვახსენეთ – „ცელქი ბავშვი“, სიყვარულით უკუღმართს რომ ეძახდნენ... გაიზარდა, მისნაირები მოძებნა... გაერთიანდნენ, ხასიათი-აზრი-ფსიქიკა ერთნაირი აქვთ, უნდა იმოქმედონ წაღმის – სისწორის წინააღმდეგ, ყოველგვარი უკუღმართობით – გაიძვერობა, ვირეშმაკობით, ხელოვნურად დამუშავებული „ნასწავლი“ საუბრებით, გამოსვლებით, შეკრებებით... სიმართლის – სისწორის უარყოფა, სხვათა აზრების არმიღება, საერთოდ მექანიკური მოძრაობაც კი მსგავსი: „შუშის თვალებით“ „რიხიანი ლაპარაკი“, ცივი, ზომბირებული, უგულო-უსულგულო... სწავლა-განათლება ზედაპირული, „იმპორტული“, სნობური, მიმბაძველური... ცხოვრების სტილი – წესი კი საყოველთაოდ ცნობილია მათი – სხვების ჩაშვება, თავისიანებისთვის ყველაფრის დაშვება... ასეთ საქციელს აღმოსავლურ ენებზე ლამაზად ჟღერადი სახელები ჰქვია – „ოინბაზობა“, „გოთვერნობა“, „ყურუმსაღობა“... (დანარჩენს ვერ ჩამოვთვლი, უხერხულია...).

გასული საუკუნიდან დაწყებულმა უკუღმართობამ, ბოლო ათწლეულში ზენიტს მიაღწია. უკუღმა შეძვრნენ მთავრობაში და სხვაგანაც, თავიანთი უკუღმართი მეგობრების დახმარებით... (ამ მხრივ, ჩვენი შვება იმაშია, რომ დღეს მსოფლიოში არაერთი ქვეყანაა უკუღმართი მთავრობის ხელში...). ამ ჩვენმა უკუღმართებმა გააუკუღმართეს თავიანთი პირადი ცხოვრებაც. პირუკუღმა დააყენეს ხალხის აზრი და პრობლემები... „წაღმასისწორით“ სვლის ნაცვლად თანამემამულეებს უკუღმართობა შესთავაზეს – მიწის დამუშავების, ბაღ-ვენახების მორწყვის ნაცვლად – პომპეზური შადრევნები, დანგრეული და მიტოვებული სახლების ნაცვლად – კაზინოები, რესტორნები, შუშის სახლები, გამოუყენებელი ხიდები და სხვა უკუღმართი ნაგებობები... და... თუ ჩვენ ქართულ „უკუღმართობას“ ფრანგულ ტერმინს „საბოტაჟს“ დავუმატებთ, რომელიც რაიმე ღონისძიების განზრახ ჩაშლას, სამუშაოსთვის თავის არიდებას ან არაკეთილსინდისიერად შესრულებას ნიშნავს, მაშინ ნათელი გახდება ნაცმოძრაობის მიმოფანტულთ, ზოგან ქალაქად და სოფლად შემორჩენილთ რევანშისტული ქმედებების სურვილი რომ აქვთ, უფრო სწორად იმედი უკუღმართობის პლუს საბოტაჟის და... კოჰაბიტაციის სახელის...

ვერაფრით ვერ დაიჯერეს, უფრო სწორად არ უნდათ დაიჯერონ, რომ ჩავარდნენ, ჩაფლავდნენ... მოქმედებენ ცნობილი სპორტული ტერმინით: „საუკეთესო დაცვა – თავდასხმაა“. მაგრამ... რატომ, რისთვის? ისტორია უკან არ ბრუნდება... წარსულს ჩაბარდა მათი „საქმენი-საგმირონი“. დროა, გადარჩენაზე იფიქრონ, თავი იმართლონ, შერცხვეთ, მოინანიონ. ამის ნაცვლად სურთ ჩართონ ე. წ. „ახალი ეროვნული ძალა“ – უუნარო, უსაქმური, ბოღმიანი, მტრულად განწყობილი ადამიანები და ამით ახალ „ეროვნულ მოძრაობას ჩაუყარონ საფუძველი“. ამიტომაცაა ჯერჯერობით საბოტაჟი პოლიტიკაში, ეკონომიკაში, განათლებაში, წარმოიდგინეთ ხელოვნებაშიც და სპორტშიც...

ცხრა წლის მანძილზე ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლა ბოლომდე ვერ დაამთავრეს, ბოლომდე ვერ ამოძირკვეს წინაპართა ტრადიციები და ისტორიული მეხსიერება, რელიგიური და კულტურული აზროვნება ვერ შეგვიცვალეს და... ამ უკუღმართებს რისი იმედი აქვთ, გაუგებარია...

ამ ბოლო დროის ცვლილებები იმის მანიშნებელია, რომ უკუღმა წაღმის წინააღმდეგ ვეღარ იმოქმედებს და საბოლოოდ დამარცხდება! ამიტომაც ამ წერილს ოპტიმისტურად ვამთავრებ ვაჟა-ფშაველას სტრიქონით:

„დრო იყო შეუსაბამო,
გარემოება ვერანი,
ამაოდ დაგვრჩა მამათა
ფიქრი და გულთა ძგერანი,
ეგებ თქვენ დაიჯილაოთ
ბარათაშვილის მერანი“.

ძირს უკუღმართობა, წაღმა ვიაროთ, ხალხო!

ოთარ მიმინოშვილი.

P. S. ამ წერილის გამოქვეყნებას არ ვაპირებდი, თითქმის ერთი წელია, მაგიდის უჯრაში მქონდა „გადამალული“, ვინაიდან არ მსურდა მავანისთვის უკუღმართი ცხოვრება გამეხსენებინა... თანაც, ამას წინათ ბატონმა ბიძინამ თქვა, იუმორით შეხედეთ მათ საქმიანობასო. მაგრამ... იმატა მათმა აქტიურობამ და მეც ნახევრად ხუმრობით ვახასიათებ-აღვწერ მათ დღევანდელობას.

თქვენს წინაშე წარმოდგენილი წერილის შესავსებად, ხომ გაგიგიათ „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ და ახალი „ტაქტიკა“ შეიმუშავეს, ოდიოზური, მაზოხისტური: ვითომ პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი არიან, თვითგვემაზე, თვითწვალებაზე გადავიდნენ, მალე ზოგი „შახსეი-ვახსეის“ და „ხარაკირსაც“ გაიკეთებს... მათი ბელადი, კუბის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის ერნესტო ჩე გევარას მსგავსად, სხვა ქვეყანაში გადავიდა გამოცდილების გასაზიარებლად და კიდევ, ვინ იცის, ვინ რას იზამს...

ო. მ.

◎ წკეპლიკები

მოწოდება

ფსიქიატრებო ყველა ქვეყნისა, მოგმართავთ თხოვნით: სასწრაფოდ გამოიკვლიეთ ღრმა ფსიქიკური აშლილობის დღემდე უცნობი სინდრომი, სახელწოდებით „ნაციონალური პარტია“. სინდრომის ზოგადი დახასიათება: გამძაფრებული უტიფრობა, ენაბილწობა, ტყუილი, უაზრო განცხადებები პოლიტიკური ზეწოლის შესახებ, ფარული მოწოდებანი საბოტაჟისკენ.

პატივცემულო ფსიქიატრებო, უმორჩილესად გთხოვთ, გადაარჩინეთ ნაციონალური პარტიის მესვეურნი!

სუპერმენი წიკლაური

გილოცავთ! ნაცო მიშიკუნებო! ეს რა განძი გყოლიათ პარტიას, ეს ხომ აღმოჩენაა! რვა ყაჩაღი ვერ მოერია, ტენეს, ტენეს, ვერ შეტენეს მანქანაში, ელექტროშოკსაც გაუძლო. თქვენ კიდევ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე ლაპარაკობთ, გრცხვენოდეთ!!!

ლონდა მდივანი

P. S. ძართველო მწერლებო, შექმენით კომიკსი სათაურით – „წიკლაური და 8 ყაჩაღი“, ბავშვები გაერთობიან.

კინოხელოვანთ კი მივმართავთ, გადაიღონ ფილმი ქართველ სუპერმენ წიკლაურზე. არსენა ოძელაშვილივით შერჩება ისტორიას.

ლ. მ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● NDI-ის კვლევებით ნავარო უდანაშაულოა.

● ეფერეთ, ეფერეთ და ბაკიმ ფაშა კი არა მალე „ოე“ და „შეჩემათი“ მოგმართავენ.

● მგონი, ნაცებს პროკურატურაში აწყვეტინებენ მუშაობას. დაჭერით არ იჭერენ და ალბათ სტაჟირებაზე დაყავთ.

● 360 ლარი მიიტათ!

ახლა ნუ მეფოკუსნიკებით ბანკში რატო არ გერიცხებოდაო, უწყისები სად არიო და რაღაც სისულელეებს თავი დაანებეთ. ეგ ტექსტები 170-ლარიან არაყზე დააყოლეთ, 860-ლარიანი შალახოს დროს.

ხადური, გეყურებაააა?

● თუკი მაგალითად,

UNO (United Nations Organization)-ООН – გაეროა, რატომ არაა NATO (North Atlantic Treaty Organisation) – ОСАД (Организация Североатлантического договора) – ჩახო (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია)?

● პოლიციაში ისევ ზონდერები არიან, პროკურატურაში ისევ ზონდერები არიან, სასამართლოში ისევ ზონდერები არიან, სასჯელაღსრულებაში ისევ ზონდერები არიან, პარლამენტში გაყიდულები და გარიგებულები არიან!

ერთი ნათელი წერტილი, ჯერჯერობით, ირაკლი ღარიბაშვილია!

● ო ხო ხოოო... დაფრთხა „ასავალ-დასავალი“. დაფრთხა და აღარ დაწერს არაფერს. მე რა ვერ გავიგე, იცით? ეს ქარტია რატო ნაყავს წყალს? სულ არ აკაწრია ახლა „ასავალ-დასავალს“ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ქარტია? საერთოდ არ ვცნობთ რაა ეს ქარტიაო, „ასავალის“ ჟურნალისტებმა. ხო მაგარია?

● თელასი, ყაზტრანსგაზი და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსი“ უნდა ვაიძულოთ, რომ მინიმუმ კოლექტიური ხელშეკრულება მაინც გააფორმოს თბილისის მოსახლეობასთან. „სითი-პარკი“ როგორც წურბელა, უნდა მოიშანთოს და პარკირების თემაზე გამოცხადდეს ახალი ტენდერი. და კიდევ არანაირი უფლება არა უნდა ქონდეს მერიას ჩემს და თქვენს ზურგს უკან კომერციულ სტრუქტურებთან ჩვენი სახელით დადოს ხელშეკრულება და მერე მთელი ცხოვრება გვაძახოს ეს კომერციული საიდუმლეებაო.

საიდუმლოება არა, კვატი!

● 96.000-მდე ხმა აიღეს ნაცებმა თბილისში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე... დაახლოებით 500-600 ათასი ამომრჩეველი მოვა ადგილობრივზე თბილისში. თუ შეინარჩუნეს იგივე ელექტორატი, მაშინ მინიმუმ ხმების 20%-ს აიღებენ თბილისში. 20 %-ი დაახლოებით 5 დეპუტატია საკრებულოში, მაჟორიტარულში არა მგონია რაიმე სერიოზული ქნან... ასე რომ, სერიოზულ უმცირესობაში იქნებიან ახალ საკრებულოში. ბურჯანაძეს ამის ნახევარი აქვს თბილისში საპრეზიდენტოზე აღებული... ახალი კონფიგურაციით მაქსიმუმ 15%-ზე ავიდეს (2 დეპუტატი პროპორციულით) და დიდი-დიდი 1-2 მაჟორიტარი გაიყვანოს.

დარჩენილმა ძალებმაც მაქსიმუმ 4-5 კაცი გაიყვანონ სულ. ასე, რომ თბილისის საკრებულოს 50 ადგილიდან ამ წუთისთვის ოცნებას გარანტირებული აქვს თითქმის 2/3-ი.

ვნახოთ, მივადევნოთ თვალი მოვლენების განვითარებას.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ პატივგება

ლევან ყიფიანმა ჯანო ბაგრატიონი სპორტის რაინდის წოდებით დაჯილდოვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი 4 აპრილს 76 წლის გახდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჯანო ბაგრატიონს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი იუბილარს შინ ეწვია და პირადად მიულოცა როგორც დაბადების დღე, ისე სპორტის რაინდის საპატიო წოდების მინიჭება.

„ვულოცავ ბატონ ჯანოს დაბადების დღეს, ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებ! ასევე ვულოცავ სპორტის რაინდის წოდებას! ჯანო ბაგრატიონი მთელი ცხოვრება სპორტშია, ის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სათავეებთან იდგა და წლების მანძილზე მისი პრეზიდენტიც გახლდათ“, – განაცხადა ლევან ყიფიანმა.

„მიუხედავად იმისა, რომ საპატიო წოდებები თუ სხვადასხვა ჯილდოები ადრეც მიმიღია, ქართული სპორტის რაინდის წოდება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ხალხმა ამ ჯილდოს ღირსად მიმიჩნია. მსურს მადლობა გადავუხადო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მის ხელმძღვანელებს ამ გადაწყვეტილებისთვის“, – აღნიშნა ბატონმა ჯანომ.

ჯანო ბაგრატიონი წარმატებული ხელბურთელი გახლდათ, რომელმაც თბილისის „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოიგო და რამდენჯერმე ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ხელბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ იყო მწვრთნელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და პირველი მოადგილე.

1996-2004 წლებში ჯანო ბაგრატიონი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახლდათ, 2004 წლიდან კი სეოკ-ის საპატიო პრეზიდენტია.

ჯანო ბაგრატიონი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსების და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენებით, არის სპორტის საპატიო ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი და თბილისის საპატიო მოქალაქე.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭიდაობა

გიორგი ცირეკიძე ბრინჯაოს პრიზიორია



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრმა გიორგი ცირეკიძემ ქალაქ ვანტააში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ქართველმა ფინურ ხალიჩაზე ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ოთხი მოიგო.

ძირითად ბადეში ცირეკიძემ გერმანელი პასკალ ეიზელი, ბულგარელი დანიელ ალექსანდროვი და სომეხი ჰრაჩ ჰოვანესიანი ჩამოიშორა გზიდან და ნახევარფინალში უნგრელ პეტერ ბაკშთან დამარცხდა, რეპეშაჟის ფინალში კი შვედ ზაკარიას ბერგს სძლია.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა ევროპირველობა სწორედ ცირეკიძის ბრინჯაოთი ჩაამთავრა.

ბეჟან დოლიძე

◎ თაობა

სოსო ჯაფარიძემ მესამე ადგილი დაიკავა

ამ დღეებში იტალიის კურორტ სელა ნევეაში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით (FIS) იუნიორთა შორის ორი ტურნირი ჩატარდა გიგანტურ სლალომში. შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრების მოთხილამურეები სოსო ჯაფარიძე და ნიკოლოზ კოზანაშვილი გამოვიდნენ. პირველ საშეჯიბრო დღეს ჯაფარიძე 47.12 ქულით მე-5, ხოლო კოზანაშვილი 48.67 ქულით მე-7 ადგილზე გავიდა. საუკეთესო სამეული იტალიელებმა: სამუელ მარტინუციმ, ლუდოვიკო პილერ კოტრერმა და რობერტო ტიმოტი ბონაპაცემ დაიკავეს.

მეორე დღეს სოსო ჯაფარიძემ მესამე ადგილი დაიკავა და 42.49 ქულა მოაგროვა, ნიკოლოზი კი მეექვსე ადგილზე გავიდა (46.87). შეჯიბრება იტალიელმა მარკო მაროკომ მოიგო, სოსომ მასთან 0.93 წამი წააგო, მეორე ადგილზეც იტალიელი რობერტო ტიმოტი ბონაპაცე გავიდა (+0.77 წმ.).

ამასობაში, ჭაბუკ მოთხილამურეთა ნაკრები იტალიაში გაემგზავრა , სადაც კურორტ აბეტონეში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით ბავშვთა საერთაშორისო შეჯიბრება „პინოქიო“ ტარდება. ეს შეჯიბრება ძალიან პოპულარულია და მასში თითქმის ყველა ცნობილ მოთხილამურეს აქვს მიღებული მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები 1993 წლიდან გამოდის.

ბავშვთა შეჯიბრება ორ ასაკში – 1998-1999 და 2000-2001 წლებში დაბადებულებში იმართება. 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის საქართველოს სახელს ეკატერინე გოცირიძე, თამარ ბარბარიანი, ლაშა კურტანიძე და დავით ნაზღაიძე დაიცავენ, ხოლო 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის ნიკოლოზ ცაგარელი, ბესარიონ ჯაფარიძე და გიორგი კურტანიძე იასპარეზებენ. მათი მწვრთნელები ვატო კოპაძე და ირაკლი ნასყიდაშვილი არიან.

კობა კობახიძე

◎ სწავლის ძირი მწარე არის...

ქართველმა ჰოკეისტებმა კორეელებთან წააგეს

საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის III დივიზიონის პირველ შეხვედრაში ჩრდილოეთ კორეას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ლუქსემბურგის ქალაქ კოკელშოიერში მიმდინარე 6-დღიანი ტურნირის საწყის მატჩში ქართველები 1:22 დამარცხდნენ, დარტყმები კი 92:4 იყო მეტოქის სასარგებლოდ.

საქართველოს ნაკრების მხრიდან ერთადერთი შაიბა 44 წლის გოჩა ჯეირანაშვილმა გაიტანა.

დღის სხვა მატჩებში ჰონგ კონგმა არაბეთის გაერთიანებული საამიროების გუნდს 2:1 სძლია, ხოლო ბულგარეთმა ლუქსემბურგს 8:5 მოუგო.

დღეს ქართველი ჰოკეისტები ჰონგ კონგს ეთამაშებიან, 9-ში – ბულგარეთს, 11-ში – ლუქსემბურგს, ხოლო 12-ში – არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კვიცი – გვარზე!..

ეს ერთი და სხვა მრავალი

ონის რაიონში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა თაობათა აღმზრდელი, დაფასებული პედაგოგი და თავადაც ყოფილი სპორტსმენი ისაკ ჯანუაშვილი. ამიტომ არავის უკვირს, რომ ამაგდარი ფიზკულტურის მასწავლებლის შთამომავლობა ცხოვრების ჯანსაღი წესის ერთგულია და ღირსეული წინაპრის ტრადიციებს მისდევს.

დაახლოებით თხუთმეტი წლის წინათ ჩვენი გაზეთის მკითხველს ძვირფასი ბაბუის საფიცარი შვილიშვილი ირაკლი ჯანუაშვილი გავაცანით, რომელმაც სამშობლოში მოპოვებული წარმატებების შემდეგ კარიერა გერმანიაში განაგრძო და უკვე კარგა ხანია ჰაიდელბერგის საჩოგბურთო კლუბის სახელით ასპარეზობს სხვადასხვა ტურნირებში.

და აი, დღეს გზას ვულოცავთ დიდი ბაბუის 8 წლის შვილიშვილს ლუკა ჯანუაშვილს, რომელიც მამის გაკვალულ ბილიკს შეუყვა და მერე როგორ! შარშან ეროვნული ჩემპიონატების დებიუტანტი თანატოლთა საქართველოს პირველობის მესამე პრიზორი გახდა, ხოლო ამ დღეებში კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიც დააააშნიკა და 8-10 წლის ბიჭებში აჯობა ყველას.

და ბოლოს – სიმბოლური დამთხვევა: ლეგენდარული როჯერ ფედერერის მსგავსად ლუკაც 8 აგვისტოსაა დაბადებული. ვიმედოვნებთ, თბილისის 147-ე საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლის მომავალი მიღწევებითა და აღნიშნული თარიღით ქართველი გულშემატკივარიც იამაყებს!

გია პლატონიშვილი

◎ ჩოგბურთი

დევისის თასზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

დევისის თასის მეოთხედფინალის წყვილთა მატჩის შემდეგ ყაზახეთი შვეიცარიას 2:1-ს უგებდა, მაგრამ საბოლოოდ როჯერ ფედერერმა და სტანისლას ვავრინკამ თავიანთი ქვეყნის ნაკრების ნახევარფინალში გაყვანა მაინც მოახერხეს. ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა ვავრინკამ კუკუშკინს მოუგო და შეხვედრის ანგარიში გააყაიმა, გადამწყვეტი, მესამე ქულა კი შვეიცარიელებს ფედერერმა მოუპოვა.

32 წლის როჯერმა ანდრეი გოლუბევს 7:6, 6:2, 6:3 სძლია. მატჩი 2 საათსა და 13 წუთს გაგრძელდა. ამ სათამაშო დროის განმავლობაში როჯერმა 5 ბრეიკი და 4 ეისი შეასრულა. ბოლო 11 წლის განმავლობაში შვეიცარიელები პირველად გავიდნენ დევისის თასის ნახევარფინალში და ამ ეტაპზე იტალიას შეხვდებიან.

თავის მხრივ აპენინელებმა მეოთხედფინალში დიდ ბრიტანეთს მოუგეს. სამხრეთელებს გადამწყვეტი ქულა ანდრეას სეპიმ მოუტანა, რომელმაც ჯეიმს უორდი 6:4, 6:3, 6:4 დაამარცხა.

მეორე ნახევარფინალური წყვილი ჩეხეთმა და საფრანგეთმა შეადგინეს. დევისის თასის მოქმედმა ჩემპიონმა ჩეხეთმა იოლად – 5:0 დაამარცხა იაპონია, ფრანგებმა კი გერმანელებს 3:2 მოუგეს. ფრანგებისა და გერმანელების მეხუთე შეხვედრაში გაელ მონფილმა პეტერ გოევჩიკი 6:1, 7:6, 6:2 დაამარცხა.

დევისის თასის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

შვეიცარია – იტალია,
ჩეხეთი – საფრანგეთი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

რობი კინის ცოლი და განაწყენებული მოდელი

ადრე უკვე ვწერდით, რომ ირლანდიელი ფეხბურთელის რობი კინის მეუღლე კლაუდია კინი სხვადასხვა ტიპის სილამაზის კონკურსების ერთ-ერთი ორგანიზატორია და როგორც ჩვენში იტყვიან, ლამაზ ქალს ვერ გაუვლია კლაუდიას დაკვირვების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ კლაუდიას სამოდელო-საკონკურსო საქმეები უკანასკნელ პერიოდში ძალიან კარგად მისდიოდა, როგორც აღმოჩნდა, მრავალი განაწყენებული ადამიანიც გამოუჩნდა.

ცოტა ხნის წინათ კლაუდია კინსა და მის კომპანიას ერთ-ერთმა მოდელმა სასამართლოში უჩივლა – აქაოდა, დაპირებული ანაზღაურება არ გადამიხადესო. არ ვიცით კინის ცოლი ამ ამბავში მართალია თუ არა, მაგრამ ეს ფაქტი მის იმიჯზე დადებითად რომ არ იმოქმედებს – ფაქტია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ემღერება და ეთამადება

ორი „ბატონის“ მსახური

ეს გელა ძოძიაშვილია, ქართული სიმღერისა და ქართული სუფრის ტრფიალი, მონა-მორჩილი, მსახური... მათი ეშხით მოარული დღესაც — 75 წლის ასაკში.

ძართული სიმღერა

იგი თბილისში დაიბადა, თუმცა, გაიზარდა მამაპაპეულში, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში და იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

— ჩვენი ოჯახი ტრადიციული ღირებულებების მატარებელი იყო, — მიამბობს გელა, — **ძალიან ხშირი იყო სტუმრიანობა, თითქმის აუღებელი იყო სუფრა. ვის არ ნახავდით ამ სუფრასთან — მუშას, გლეხს, ექიმს, ინჟინერს, მხატვარს, მომღერალს თუ თანამდებობის პირს... ოჯახში ყველა მღეროდა, პაპაჩემი დავითი — სასულიერო სემინარიადამთავრებული და ყოფილი საეკლესიო მოძღვარი, ჯერ კიდევ ახალგაზრდულ წლებში დიდ ვანო სარაჯიშვილთან ერთად მღეროდა სანდრო კავსაძის მიერ ჩამოყალიბებულ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლში. მღეროდა დედა-მამა, მღეროდნენ დები — ნანი და რუსუდანი, რომლებმაც შემდეგ თბილისის კონსერვატორია დაამთავრეს... ჰო-**

და, მე რა ღმერთი გამიწყრებოდა... ძალიან მიყვარდა სიმღერა — ტენორს „ვუბერავდი“...

* * *

მოხდა ისე, რომ ეს სიმღერის მადლცხებული ახალგაზრდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე შედის, თუმცა, სიმღერა, რომ იტყვიან, თან დაჰყვება... ინსტიტუტში აყალიბებს „შვიდკაცას“, რომელიც წარმატებით ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს, ხოლო ინსტიტუტის სოხუმში გადატანის შემდეგ, აფხაზეთის რადიოში „შვიდკაცას“ მრავალი სიმღერა ჩაწერეს, მათ შორის, აფხაზურიც... არ გამომრჩეს: ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარალელურად გელა მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელშიც დადის, სპეციალურმა კომისიამ საიმედო მონაცემების მქონე ახალგაზრდა ვოკალური განყოფილების მეორე კურსზე ჩარიცხა... მოგვიანებით კი იგი დაუსწრებლად ამთავრებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტს, ცნობილი პედაგოგის, პროფესორ დავით ანდღულაძის კლასით. აღსანიშნავია, რომ ჯერაც სტუდენტი, იგი მღერის არსენას მთავარ პარტიას ა. ბუკიას ოპერა „არსენაში“ და მსმენელის მოწონებას იმსახურებს.

1970 წელს, ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ვოკალისტთა კონკურსზე გელა ქოქიაშვილი ლაურეატი გახდა. იგი წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა ტენორის მთავარ პარტიებს ოპერებში — „დაისი“, „არსენა“, „ალეკო“, „სიყვარულის ნექტარი“, „ბოჰემა“. მას ასევე წარმატებით აქვს ნამღერი ქუთაისის საოპერო თეატრში მალხაზის პარტია „დაისში“. ცნობილი დირიჟორი დიდიმ მირცხულავა გელას ამ პარტიას ნიკო ქუმსიაშვილის შესრულებასაც კი ადრიდა, ხოლო დავით ანღულაძეს მიაჩნდა, რომ მისი სახით კიდევ ერთი ღირსეული ტენორი მოევლინა ვოკალურ ხელოვნებას. ამ შეფასების სისწორეში საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, როცა გელა ქოქიაშვილმა მოსკოვში გამართულ „ლა სკალას“ საოპერო თეატრში სტაჟირებაზე გასაგზავნ საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა. ამაზე გაზეთ „კომუნისტში“ მილოცვაც კი დაიბეჭდა, მაგრამ გელა იტალიაში არ გაუშვეს. როგორც ჩანს, ქართულმა შურმა და გაუტანლობამ იჩინა თავი.

კონკურსში გამარჯვების შემდეგ მას შემოთავაზებები ჰქონდა: ლენინგრადის, კუიბიშევის და ტაშკენტის საოპერო თეატრებიდან, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო თავი შეიკავა საქართველოდან დიდი ხნით წასვლაზე. ამის შემდეგ იგი მთლიანად საკონცერტო საქმიანობაზე გადავიდა და 30 წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურა ქართულ სასიმღერო ხელოვნებას. არაერთი რადიო და ტელეგადაცემაა მიძღვნილი, სტატიებია გამოქვეყნებული პრესაში მის მიერ გამართული კონცერტების შესახებ.

1976 წლის გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: **„საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლმა ამ დღეებში მოაწყო ვოკალისტთა საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული გელა ქოქიაშვილის სოლო კონცერტის საღამო. კონსერვატორიაში სწავლამდეც, სტუდენტობის წლებშიც და მის შემდეგაც მომღერალი ხშირად გამოსულა კონცერტებით თბილისში, მოსკოვში, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში და რაიონში. ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულმა კონცერტმა ყურადღება მიიქცია პროგრამის მრავალფეროვნებით, საშემსრულებლო ხელოვნების კულტურით, დახვეწილი გემოვნებით და პროფესიონალიზმით. ამ საღამოს მომღერალმა დიდი მგზნებარებით და ემოციურად შეასრულა ოტელოს არია ვერდის ოპერიდან „ოტელო“, „აბუკელა“, სვირიდოვის „იულორთან მიახლოებისას“, რუსული და ქართული ხალხური სიმღერები, დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, შ. შველიძის და ს. მირიანაშვილის რომანსები.“**

უამრავია გაზეთი, უამრავია შექება...

1980 წელს გელა ქოქიაშვილს მიენიჭა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, ამავე წელს საკავშირო ფირმა „მელოდიამ“ გამოსცა გრამფირფიტა (გიგანტი), სადაც მის მიერ უმაღლეს პროფესიულ დონეზე ჩაწერილი ძველი და ახალი თაობის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შევიდა. მომდევნო პერიოდში მან გამოსცა კომპაქტდისკი ალბომის სახით, სადაც ქართულ ნაწარმოებებთან ერთად შესულია იტალიური არიები და ნეაპოლიტანური სიმღერები.

ქართული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისთვის გელა ქოქიაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. იგი არის ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი და ეკონომიკის დოქტორი.

ძართული სუფრა

ვოკალური ხელოვნების პარალელურად გელამ სხვა სფეროშიც გამოიჩინა თავი. იგი თითქმის 45 წლის განმავლობაში წარმატებით საქმიანობდა კვების მრეწველობის სამინისტროს, კერძოდ, მეღვინეობის სისტემაში, სადაც მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. მის სახელთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, რამდენიმე ქარხნის მშენებლობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გელას დამოკიდებულება ისეთი ტრადიციული ფენომენის მიმართ, როგორიც ქართული სუფრაა. იგი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ ყველა საქმეს. ამავე დროს, მისი ცხოვრების განვლილი გზა წარმოუდგენელია მეგობრების და მათთან ურთიერთობის გარეშე. თავისი გამორჩეული კოლორიტულობით იგი ყოველთვის ამშვენებს ქართულ პურ-მარილს. ერთ რამედ ღირს მასთან ერთად სუფრასთან ყოფნა, მისი სანიმუშო თამადობის მოსმენა. ტრადიციულ ოჯახში აღზრდილმა კარგად იცის ქართული მიწის, ვაზის, ღვინის და სუფრის ყადრი და ლაზათი. მან ქართული სუფრა გარკვეულ წესს დაუმორჩილა და აკადემიურ დონეზე აიყვანა. ვინც მასთან ერთად ერთხელ მაინც მოხვედრილა სუფრასთან, აღარასოდეს დაავიწყდება ეს მართლაც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ქვეყნის და ხალხის მომფერებელი პიროვნება.

გელას თამადობას განუზომლად დიდ ინტერესს სძენს ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ შესრულებული სიმღერა და შესატყვისი ლექსის თქმა. დღესასწაულად ქცეული და უნივერსალურობამდე აყვანილი სუფრებით ყველა კმაყოფილი და აღფრთოვანებულია. საინტერესოა საქართველოში ცნობილი და აღიარებული თამადის სიმონიკა სხირტლაძის გელაზე გამოთქმული ასეთი მოსაზრება: „ახლა შემიძლია წყნარად ვიყო, რადგან შენ შეგიძლია დიდი წარმატებით გააგრძელო ჩემი საქმიანობა“!

უპრიანია დავით ანდღულაძის მასზე მეტაფორულად ნათქვამი სიტყვები: „შენ მომღერლებში პირველი თამადა ხარ და თამადებში პირველი მომღერალიო“. გელამ ფუნდამენტურად გამოიკვლია და შეისწავლა ქართული სუფრის ისტორია, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები, ადათ-წესები და გამოსცა წიგნი —„სუფრავ გაშლილო — ლხინი ხარ“ (2 გამოცემა). მან თარგმნა წიგნი უდიდეს იტალიელ ტენორზე — ენრიკო კარუზოზე, აგრეთვე, გამოსცა აღიარებული იტალიელი ბარიტონის ტიტა, რუფოს მონოგრაფია — „ჩემი ცხოვრების პარაბოლა“.

იგი კვლავაც დიდი შემართებით მუშაობს ახალი ჩანაწერებისა და წიგნების გამოცემაზე....

...დადის ჩვენს შორის გულგახსნილი, შუბლგახსნილი ნაღდი ქართველი კაცი და დიახაც ეამაყება, რომ ორი „ბატონის“ მსახურებას მიუძღვნა თავისი ცხოვრება...

მე მგონი, უნდა მომიწიოს მის გვერდით ჯდომა და მისი სადღეგრძელოებისა და სიმღერების მოსმენა საიუბილეო სუფრასთან... ეგეთები არ ეშლება გელა ქოქიაშვილს.

ვილენ მარდალეიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სწავლული მდივანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მედეა აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 8, 9 IV, 17 სთ. მისამართი: პეკინის 14, ბინა 9. გამოსვენება 10 IV, 14 სთ.

გრიგოლ შონია, ნუგზარ ღამბაშიძე, ბეჟან ღუტიძე, თემო ჯიბლაძე, შალვა კვანტალიანი, კაკი ცეცხლაძე, მირზა გოლეთიანი, ვალიკო ნაყოფია, იურა მიქანაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, ყოფილი ორჯონიკიძის რაიონის მილიციის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი

დამიანე ნიკოლოზის ძე ალანია

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს და ახლობლებს.

◎ ინფორმაცია

ლონდონში ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაცია იგეგმება

როგორც დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ პროექტ „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, მიმდინარეობს მუშაობა, რათა ოქსფორდისა და კემბრიჯის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების პალიმფსესტები ჩატანა მოხდეს ლონდონის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც ისინი გაიშიფრება, ჩაუტარდება დიგიტალიზაცია — სპეციალური დანადგარების მეშვეობით დასკანირება, ფოტოგრაფირება, მოგვიანებით კი დიგიტალური ვერსიები ქართულ მხარეს გადმოეცემა.

ამასთან, კონსტანტინე სურგულაძის ინფორმაციით, მოხერხდა დიდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში დაცული 6 ქართული ხელნაწერის დიგიტალური ვერსიის საქართველოში ჩამოტანა. მინისტრის თქმით, აღნიშნული ეგზემპლარები საქართველოს საპატრიარქოს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და კულტურისა და ძეგლთან დაცვის სამინისტროს გადაეცემა, ერთი ვერსია კი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში დარჩება.

53-ე სკოლის პედაგოგები გაიფიცნენ

როგორც სკოლის პედაგოგებმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, მათი გაფიცვის მიზეზი დირექტორის მარიამ რამინაშვილის თანამდებობიდან განთავისუფლება გახდა.

მათივე ინფორმაციით, მარიამ რამინაშვილის თანამდებობიდან განთავისუფლების მიზეზი გენინსპექციის დასკვნა გახდა. გენინსპექცია სკოლაში 5 მარტს შევიდა.

როგორც 53-ე სკოლის პედაგოგმა მარინა ბასილაშვილმა განაცხადა, გენინსპექციის თანამშრომლები მასთან პირად საუბრებში აცხადებდნენ, რომ შემოწმების საფუძველი თორნიკე ლომიძის სარჩელი გახდა, თუმცა, ამ სახელისა და გვარის ადამიანი სკოლასთან არანაირ კავშირში არ არის და მისი სარჩელი არ შეიძლება გამხდარიყო სკოლის შემოწმების საფუძველი.

როგორც მარინა ბასილაშვილმა აღნიშნა, სკოლის პედაგოგებმა განათლების მინისტრს შეხვედრა სთხოვეს, რათა თამარ სანიკიძეს მათთვის ოფიციალურად აეხსნა სკოლაში გენინსპექციის შესვლის მიზეზი, თუმცა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მათთან შესახვედრად დრო ვერ გამონახა. ბასილაშვილის თქმით, მინისტრმა თორნიკე ლომიძის ხელით დაწერილი სარჩელის ასლი გაუგზავნა პედაგოგებს.

მასწავლებლები არ გამორიცხავენ, რომ მარიამ რამინაშვილის თანამდებობიდან გადაყენებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდეს, ვინაიდან მარიამ რამინაშვილი სკოლის დირექტორად „ნაციონალური მოძრაობის“ დროს დაინიშნა.

სკოლის პედაგოგთა თქმით, მათ ვერ მოასწრეს გენინსპექციის დასკვნის საფუძვლიანად გაცნობა.

ისინი განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებენ და მასთან შეხვედრას ითხოვენ. ასევე, ითხოვენ განმარტებული იქნას გენინსპექციის დასკვნა.

პედაგოგები მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე სასწავლო პროცესის ჩატარებაზე უარს აცხადებენ.

სკოლის პედაგოგთა ინფორმაციით, ამჟამად სკოლის 103 მასწავლებლიდან 98 მასწავლებელი არის გაფიცული.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

სათრეველები

არჩევანი

საქმე ისე არ გეგონოთ,
გიგი რომ უბერავდა,
მაგრამ თუკი თბილისელი
მაინც გვინდა მერადა,
უდავოზე რომ ვიდავოთ,
გახლავთ გასაკვირველი,
ხოხობია ერთადერთი
თბილისელი პირველი,
ჰოდა, დროა, დავადუმოთ
მთქმელი სხვა სიმღერათა
და ხოხობი ავირჩიოთ
ჩვენს ქალაქში მერადა!

გამარტ-გაჭინჭყლეულ ინციდენტზე

განმკლაურით, წინმკლაურით
ნაცემია წიკლაური,
მაგრამ ჩვენ არ ვგავართ
„ნაცებს“
და საკადრის პასუხს გავცემთ,
ვინც იხულიგნ – ითავხედა
და მას ცემა გაუბედა.
მათ სასჯელი ელით მკაცრი,
თუ ნაცები ცოტას გვაცლით.
არა – თქვენებრ
ხსოვნა არ შლის
გელაშვილს და დავითაშვილს...

მაია-68-ს

ინტერნეტსივრცის ყველა საიტი
სავსეა ნაციონალური დემაგოგიით,
რაც უმეტესწილად პასუხგაუცემელია
ნაციონალო მაია!
შენი ბჟუტური რაია,
ჰო, რუსი ოკუპანტია!
ამით რა?
შენ და პარტია
არ ხართ ჭორების ფანტია?

ალექსანდრე შენგელია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

ჩვენი კარაბადინი

იტირეთ სასიკეთოდ

ტირილი ამაგრებს ჯანმრთელობას, განაცხადეს მეცნიერებმა მინესოტის (ამერიკის შეერთებული შტატები) და ლანკასტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტებიდან. მათ შეისწავლეს ტირილის ფიზიოლოგიური ზემოქმედება და დაინახეს, რომ სტრესი პირდაპირ გამოდის ორგანიზმიდან ცრემლებით, რის წყალობითაც ადამიანთა 88,8 პროცენტი, ტირილის შემდეგ უკეთესად გრძნობს თავს.

ცრემლები, ჯერ ერთი, ეხმარება ორგანიზმს გათავისუფლდეს იმ ნივთიერებებისგან, რომელთა დაგროვებამაც შეიძლება გულის შეტევასთან მიგვიყვანოს, მეორეც, ტირილს თან ახლავს ღრმა ჩასუნთქვა და ამოოხვრა, რაც დაბლა სწევს კორტიზოლის – სტრესის ჰორმონის – დონეს.

ბუნებრივი თამაშები

ოვულაცია (მომწიფებული კვერცხუჯრედის გამოსვლა საკვერცხეებიდან – რედ.) სტიმულს აძლევს ქალების მეტოქეობას, მაგრამ უფრო გულუხვებს ხდის მამაკაცებთან დამოკიდებულებაში. ეს აჩვენა ფსიქოლოგების გამოკვლევამ ტეხასის უნივერსიტეტიდან.

ექსპერიმენტის დროს ქალებს აძლევდნენ ფულის ფიქსირებულ თანხას, და თამაშის ყოველ ეტაპზე ისინი ირჩევდნენ, გაეყოთ ფული პარტნიორებისთვის თუ არა. იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორებსაც უჩნდებოდათ ფული, საერთო მოგება შეიძლებოდა გაზრდილიყო. ჩვეულებრივად ექსპერიმენტის მონაწილე ქალები მზად იყვნენ გაეყოთ თანხის ნახევარი სხვა ქალისთვის, მაგრამ ოვულაციის დროს იძლეოდნენ მხოლოდ მეოთხედს. ყოფილიყო უფრო წარმატებული, ვიდრე მეტოქე ქალისთვის ამ პერიოდში იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მიეღო მაქსიმალური ფულადი მოგება.

მაგრამ, როდესაც თამაშში პარტნიორი მამაკაცი იყო, მასთან ქალები ციკლის შუა პერიოდში, პირიქით, ხდებოდნენ არაჩვეულებრივად გულუხვები. ოვულაციის დროს ისინი ემორჩილებოდნენ პარტნიორ-მამაკაცს, რომ მას მოეგო და ეგრძნო თავი უფრო ძლიერად.

სასწაულებრივი კოვზი

ელექტრონული კოვზი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ხელის კანკალს და ეხმარება ადამიანებს ტრემოლით კომფორტულად მიირთვან საჭმელი, გამოიგონეს მეცნიერებმა მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. როდესაც ტრემოლით დაავადებულ ადამიანს კოვზი მიაქვს პირთან, ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ჩამონტაჟებულია სახელურში, განსაზღვრავს მიმართულებას, რომელშიც კანკალი ცვლის ტრაექტორიას, და კოვზი აწარმოებს მცირე მოძრაობას საპირისპირო მიმართულებით. შედეგად, ავადმყოფს შეუძლია მიიღოს საკვები ჯანსაღ ადამიანებთან ერთად თავისი მდგომარეობის გამო სრული მორიდების გარეშე.

ხელსაწყოს გამოკვლევაში იმ 15 კაცმა მიიღო მონაწილეობა, ვისაც ტრემოლი აწუხებდა ზედიზედ 5-7 წლის განმავლობაში. ელექტრონული კოვზის გამოცდის დროს ისინი არ ღებულობდნენ ხელის კანკალის კუპირების არანაირ საშუალებას. აღმოჩნდა, რომ კოვზი არა მხოლოდ საშუალებას აძლევდა მათ მშვიდად მიეტანათ ხელი პირთან, არამედ ამცირებდა ტრემოლსაც მთლიანად.

დაცვა ჭკუასუსტობისგან

მწვანე ჩაისა და მოცვის შემადგენლობაში სასარგებლო ნივთიერებანი აუმჯობესებენ ხანდაზმული ადამიანების მეხსიერებას, ეს დაადასტურა კლინიკურმა გამოცდებმა, რომლებიც სამხრეთი ფლორიდის უნივერსიტეტში მოაწყვეს.

მეცნიერებმა 65-85 წლის მოხალისეებს შესთავაზეს ნატურალური დანამატი მოცვისა და მწვანე ჩაისგან, რომლებიც შეიცავდნენ ანტიოქსიდანტებს, ვიტამინ D 3-ს, შეუცვლელ ამინომჟავებს. გამოკვლევის განმავლობაში გამოსაცდელები გადიოდნენ ტესტებს მეხსიერების, ყურადღებისა და ახლის შესწავლის უნარზე.

ორი თვის შემდეგ გაჩნდა იმათი პირველი შედეგები, ვინც ბიოდანამატს ღებულობდა. გაუმჯობესდა ტვინის მიერ ახალი ინფორმაციის დამუშავების სიჩქარე – ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, ყველაზე ადრე იწყებს გაუარესებას ტვინის დაბერების დროს. ასეთი ამოცანების წარმატებით გადაჭრა – საფუძველია უფრო რთული ნერვული ფუნქციებისთვის, მაგალითად, მეხსიერებისა და მეტყველებისთვის, განმარტავდნენ მეცნიერები.

ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ზაქარიაძე.

– მართლაც, ჭკუასუსტობის განვითარების რისკი ხანდაზმულ და მოხუცებულობის ასაკში დამოკიდებულია ცხოვრების ახალგაზრდულ და საშუალო წლების კვების ხასიათზე. უკვე დადასტურებულია, რომ

რაციონი, გამდიდრებული ანტიოქსიდანტებით (C და E ვიტამინებით, რომლებიცაა ბოსტნეულსა და ხილში, ციტრუსებში, ზღვის პროდუქტებში, მცენარეულ ზეთებში), მცირდება მეხსიერების დარღვევის რისკი. მეორე მხრივ, ზედმეტი ჭამა და ამასთან დაკავშირებული ზედმეტი წონა ზრდის ჭკუასუსტობის განვითარების რისკს სულ ცოტა ორჯერ.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი მხოლოდ სტატისტიკას შეეხება: ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იწინასწარმეტყველო, დაავადდება თუ არა ადამიანი, შეუძლებელია.

ტკივილის მიზეზი

შაკიკი მოზარდებში შეიძლება გამოწვეული იყოს საღეჭი რეზინის ღეჭვით, ამბობენ ისრაელელი მეცნიერები. მათ მოაწყვეს ექსპერიმენტი, რომელშიც 19 წლამდე ასაკის 30 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყველა პაციენტი ხშირ თავის ტკივილს უჩიოდა, ამ დროს ისინი ყოველდღე ღეჭავდნენ საღეჭ რეზინას.

მეცნიერებმა ახალგაზრდებს შესთავაზეს უარი ეთქვათ საღეჭ რეზინაზე, და ერთი თვის შემდეგ 19 ახალგაზრდამ განაცხადა, რომ თავის ტკივილმა გაუარა, 7-მა კი აღნიშნა, რომ იგი იშვიათად უჩნდებოდა და უფრო სუსტი იყო. შემდეგში რომ დარწმუნებულიყვნენ, ეს 26 პაციენტი კვლავ 2 კვირით დაუბრუნდა ჩვევას ხშირად ღეჭოს რეზინი, და, ყველა მათგანმა აღიარა, რომ ტკივილი დაუბრუნდა. მეცნიერთა აზრით, ასეთი ურთიერთკავშირი აიხსნება ზემოქმედებით საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრებზე, რომელთა დისფუნქციაც თავის ტკივილს იწვევს.

ანეკდოტები

– აი, დღეს ბევრად უფრო მომწონს თქვენი ხველა.

– მოგეწონებათ, აბა, რა, მთელი ღამე ვვარჯიშობდი.

* * *

მიცურავს აკვალანგისტი წყალქვეშ. საოცარი სილამაზეა 5 მეტრის სიღრმეზე. უცებ ხედავს, რომ მის გვერდით უაკვალანგო ბიჭი მიცურავს. აკვალანგისტი 10 მეტრის სიღრმეზე დაეშვა. ხედავს, ბიჭიც მის გვერდითაა. აკვალანგისტმა 15 მეტრამდე ჩაყვინთა. ბიჭიც იქვეა.

გაოცებული აკვალანგისტი ამოიღებს სპეციალურ დაფას და ზედ წერს: „როგორ ახერხებ ასე დიდხანს წყალქვეშ ცურვას?“

ბიჭი დაფას გამოართმევს და პასუხად წერს: „მე კი არ ვცურავ, ვიძირები!!!“

* * *

– **შვილო**, ერთი რამე უნდა გირჩიო, – ისეთი საცოლე შეარჩიე, სულ ცოტა, სამი და მაინც რომ ჰყავდეს.

– ეს რატომ, მამი?

– რატომ და, როცა შენი ცოლისდედები გათხოვდებიან, შენს წილად მხოლოდ მეოთხედი სიდედრი დაგრჩება...

* * *

– **მაინც** რანაირი ხელფასი გინდა რომ გქონდეს?

– აი, ისეთი, რომ წამოგაძახებინებს: „ვა, ეს მთლიანად ჩემია?“

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსაკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24